ყრილობის დელეგატი



ს ა რ ა თ ზ ე: სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე და საბჭოთა კავშირის გმირი, პირველი კოსმონავტი იური გაგარინი.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მოწინავე მუშაკს, სოციალისტური შრომის გმირს იოსებ ხაზარაძეს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, უველგან ქებით და პატივისცემით იხსენიებენ. და განა მარტო შრომით, ჩარხებთან და მანქანებთან ყოველდღიური ჰიდილით მოიპოვა იოსებმა მოყვასთა ეს უანგარო სიყვარული. მას იცნობენ, როგორც უაღრესად კეთილშობილ, სათნო ადამიანს, უანგარო, ჭეშმარიტ მამულიშვილს.

...ერთი ქუთაისელის ოჯახში ტრაგედია ტრიალებს. ქვედა კიდურების დამბლით დაავადებული ბიჭი სწოლს არის მიჯაჭვული. დედას უჭირს მოწიფული ყრმის აყვანა და სავარძელში ჩაწვენა. იოსებმა სპეციალურად ამ ყმაწვილისათვის დაამუშავა გასაშლელი და დასაკეცი ეტლის კონსტრუქციული ჩანახაზი, რომელიც სნეულ ჭაბუკს ერთდროულად საწოლისა და სავარძლის მაგივრობას გაუწევს. უფრო მეტიც, ავტომატურად გასაშლელი ეტლის დამზადება ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დაუკვეთა და ამ ყმაწვილზე არანაკლები მღელვარებით მოელის თავისი შემოქმედების ნაყოფს.

...ჩვიდმეტი წლისა იყო, როდესაც საავტომობილო ქარხანაში მივიდა. ეს იყო 1949 წლის სექტემბერი. გულღიად მიიღეს, სიყვარულით. პირველად მექანიკურ საამქროში გაამწესეს კბილანმჭრელად, მერე სიჩქარეთა კოლოფის საამქროში — ოსტატად, უფროს ოსტატად, უბნის უფროსად, 1954 წლიდან კი ქარხნის ტექნოლოგიურ განყოფილებაში მუშაობს. ამჟამად გამმართველთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ამკრებ-მექანიკური კორპუსის მასშტაბით.

შრომასა და ახლის ძიებაში გარბოდნენ დღეები, წლები...

500 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი 38 წლისაც არ არის. ვინ იცის, კიდევ რამდენ გამარჯვებას, რამდენ სიხარულსა და ბედნიერებას მოუტანს ჩვენს იოსებს მომავალი!

იოსების მაგიდას ძვირფას ჩარჩოში ჩასმული სურათი ამშვენებს, გაგარინთან ერთად გადაღებული. როგორ მოელოდა საკუთარ ჭერქვეშ სახელოვან კოსმონავტს. წერილი მიიღო მეგობრისაგან საშემოდგომოდ გესტუმრებიო აუცილებლად, ქართველების რთველში უნდა მოვილხინოო. ბარათით გამოწვეული სიხარულის განცდაც ვერ მოასწრო. გმირის ტრაგიკულად დაღუპვის ცნობა რომ მოეფინა მსოფლიოს. მგრძნობიარე გულმა მძიმედ განიცადა დანაკლისი — საქვეყნო და პირადი.

ბაბრამ გმირებს დარდი ვერ იმორჩილებთ. გმირები იბრძვიან და იმარჯვებენ, შრომობენ და წარმატებებს აღწევენ. ერთ-ერთია ასეთთაგანია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, სოციალისტური შრომის გმირი, ბაგრატის ქალაქის მკვიდრი იოსებ ხაზარაძე. ამიტომაც აირჩიეს იგი ქუთაისელმა კომუნისტებმა თავიანთ ფორუმზე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად, რომელიც 1971 წლის 17-19 თებერვალს გაიმართება.

ქეთევან დეისაძე,
ქუთაისი

მწერლები — სოფელს

სოფელს, მის ცხოვრებას, ადამიანებს ოდითგანვე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვანი სწორედ სოფლის, მისი ადამიანების ცხოვრებიდან იღებდნენ შთაგონების წყაროს. ეს ტრადიცია ჩვენს დროშიც გრძელდება. მართალია, საქართველო მძლავრი ინდუსტრიის ქვეყანაა, მაგრამ რესპუბლიკის ეკონომიკაში, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში სოფელი დღემდე ინარჩუნებს განსაკუთრებულ ადგილს. აკი მოხდენილად შენიშნა ჟურნალ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა: — საქართველო სოფლიდან იწყება და თბილისში მთავრდებაო.

ქართველი მწერლები, ხალხის გმირული ცხოვრების შემატიანენი, ბევრ შესანიშნავ ტილოს უძღვნიან სოფლის მშრომელებს, მათს სიხარულსა და ტკივილებს, მათს გმირულ შრომას. ისინი ცდილობენ უფრო დაუახლოონ ლიტერატურა ცხოვრებას. ამის მკაფიო დადასტურებაა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმი, რომელიც გუშინ გაიმართა თელავში.

პლენუმის დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — „თანამედროვე სოფელი და ქართული საბჭოთა მწერლობის ამოცანები“. პლენუმის მონაწილე ქართველი მწერლები და რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები შეხვდნენ მასპინძლებს — დოვლათიანი, ბარაქიანი კახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. გაიმართა საინტერესო, გულახდილი საუბარი მწერლებსა და იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც თავიანთი მარჯვენით, სახელოვანი შრომით შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს სამშობლოს. მწერალთა გამოსვლა ერთგვარი ანგარიში იყო სოფლის მშრომელთა წინაშე. თავიანთ მხრივ, მწერლებმაც ბევრი საგულისხმო და მნიშვნელოვანი დაინახეს პლენუმის მონაწილე სოფლის თვალსაზრისით გამოსვლებში.

[illegible] შეხვედრა ხელს შეუწყობს ქართველი მწერლების კიდევ უფრო დაახლოებას შემოქმედთა ფართო ფენებთან, ახალ შემოქმედებით გეგმებს დაუსახავს მხატვრული სიტყვის ოსტატებს სოფლის მოწინავე ადამიანების, მათი დიდებული საქმეების წარმოსაჩენად.

საბჭო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 2 (258). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 22 იანვარი

მხატვრის უკვდავსაყოფად


წლეულს სრულდება საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მოსე თოიძის დაბადების ასი წლისთავი (გარდაიცვალა 1953 წელს).

ამ თარიღის აღსანიშნავად შექმნილია საიუბილეო კომისია საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის თავჯდომარეობით.


კომისიის გადაწყვეტილებით საიუბილეო საღამო გაიმართება წლეულს, სექტემბერში.

საქართველოს სურათების გალერეაში მოეწყობა მოსე თოიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. წულუკიძის ქუჩაზე გაიხსნება მხატვრის სახლ-მუზეუმი მუდმივი ექსპოზიციით, გაიმართება შემოქმედისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

გამოიცემა მონოგრაფიები, სურათების ფერადი ალბომი, განზრახულია შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი თოიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ქართველი მხატვრის იუბილე ქალაქ მოსკოვშიც აღინიშნება.








წლეულს თბილისში მკაცრი ზამთარია. ცივა, ყინავს. თოვლი კი, როგორც ყოველთვის, არა და არ ჩანს, მხოლოდ ერთხელ, 14 იანვარს გაიხარეს პატარებმა — თბილისი ერთი დღით თოვლის საბურველში მოექცა. ეს სურათებიც ჩვენმა კორესპონდენტმა ალექსანდრე სარიშვილმა სწორედ იმ დღეს ქალაქის მერთ-ერთ უმაღლეს უბანში გადაიღო.

ეროვნული, თანამედროვე, ტრადიციული



121 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი ერისთავმა საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ქართულ რეალისტურ თეატრს. იმ დღიდან მოყოლებული, ჩვენი თეატრი დღითიდღე იზრდება, ფართოვდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი საერთაშორისო ავტორიტეტს იხვეჭს.

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. იგი ფართოდ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დღეს გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტი ეწვია საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, თეატრის დიდ მოამაგესა და მსახიობს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს დოდო ანთაძეს და სთხოვა ჩვენი მკითხველისათვის მოეთხრო შარშანდელ თეატრალურ სეზონზე, წლევანდელ საიუბილეო სამზადისსა და სიახლეებზე. აი რა განაცხადა მან:

დღევანდელ თეატრში შესვლისას უნებურად გახსენდებათ საქართველოს არც ისე შორეული წარსული, როცა თეატრი ოცნება იყო და სცენისმოყვარეთა წარმოდგენები ეზოებში იმართებოდა. რევოლუციამდელ ქართულ თეატრს მუშაობაც უჭირდა და არსებობაც. ნამდვილ აღორძინებას იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეღირსა. კოტე მარჯანიშვილის „ცხვრის წყარომ“ დასაბამი მისცა ქართული თეატრის აყვავებასა და აღმავლობას.

საბჭოთა სინამდვილემ, სოციალისტურმა ყოფამ განვითარებისა და შემოქმედებითი აღმავლობის არნახული პირობები შეუქმნა ქართულ თეატრს, მის მოღვაწეებს. დღეს ჩვენი ხელოვნების მუშაკები არა მხოლოდ კულტურის ფრონტზე იღვწიან, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მსახიობთა და თეატრალურ ხელოვანთა შორის ბევრია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 21 მსახიობს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. მრავლად გვყავს რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

დღეს რესპუბლიკაში 28 სახელმწიფო თეატრი მოქმედებს. ავტორიტეტი და პოპულარობა მოიხვეჭეს სახალხო თეატრებმა, კულტურის სახლებთან და კლუბებთან შექმნილმა სცენისმოყვარეთა წრეებმა.

შარშანდელმა წელიწადმა ჩვენს თეატრებს დიდი შემოქმედებითი სიხარული მოუტანა, მაყურებელს ბევრი სასიამოვნო წუთი განაცდევინა. რუსთაველის თეატრის ახალმა წარმოდგენებმა და ტრიუმფულმა გასტროლებმა საზღვარგარეთ ჭეშმარიტი ხელოვნების თაყვანისმცემელთა აღფრთოვანება გამოიწვია. მარჯანიშვილის თეატრში ერთხელ კიდევ ავიდნენ სცენაზე დიდი ილიას „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟები, კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი უბერებლობა ვახო გოძიაშვილმა ლუარსაბის როლში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში განსაკუთრებით ნიშანდობლივია ახალგაზრდობის შემოქმედებითი დაწინაურება. ის, რომ თეატრის სოლისტები სერიოზულ წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო მუსიკალურ პაექრობებში, თეატრის დიდ პოტენციაზე მეტყველებს. ოპერის თეატრის ჭუთაისის ფილიალი უკვე იძლევა იმის იმედს, რომ ჭუთაისიც მალე ჩადგება მოწინავე მუსიკალურ ქალაქთა შორის.

დიდ წარმატებებს აღწევს რუსთავის დრამატული თეატრის შესანიშნავი ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლებმა თბილისში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გაიმართა. მისასალმებელია სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის თეატრის საქმიანობა. ამ თეატრის რამდენიმე დადგმა ხაუკეთესოდ შეაფასა პოლონეთის თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაციამ.

წლეულს, საქართველოს საიუბილეო წელიწადს, თბილისელი მაყურებელი სცენაზე კვლავ იხილავს პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას“, რომელსაც რუსთაველის თეატრი დადგამს; ამავე ავტორის მეორე შესანიშნავ კომედიას — „ყვარყვარე თუთაბერს“ დიდი ხნის შესვენების შემდეგ აღადგენს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი; კვლავ აგვაღელვებს „აბესალომ და ეთერის“ დიდებული მელოდიები ოპერისა და ბალეტის თეატრში; სტეფანე შაუმიანის სომხური თეატრი წარმოადგენს აკაკი გეწაძის პიესას „პაემანი ცაში“; ახალ საიუბილეო სპექტაკლებს უჩვენებენ მაყურებელს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამისა და მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრები; განახლებული რეპერტუარით წარდგებიან მაყურებლის წინაშე რესპუბლიკის სხვა თეატრებიც.

იუბილესათვის მზადების დღეებში საქართველოს თეატრალური საზოგადოება გამართავს ლექციების ციკლს, სამეცნიერო სესიებს. მოეწყობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული პლენუმი, რომლის თემაა მოძმე რესპუბლიკების ხელოვნება.

ეროვნული თეატრის 121 წლისთავის წინადღეებში ქართველმა თეატრალურმა მოღვაწეებმა და თეატრის თბილისელმა მოყვარულებმა ჩინებული საჩუქარი მიიღეს. თბილისს შეემატა კიდევ ერთი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა — მსახიობის სახლი, სადაც უკვე გადავიდა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი. ეს არის სამსართულიანი შენობა 500-ადგილიანი დარბაზითა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სცენით. ამ სცენაზე ხშირად ვიხილავთ გასტროლებზე ჩამოსულ, ზოგჯერ კი თბილისის თეატრების სპექტაკლებს. აქვეა 150-ადგილიანი მცირე დარბაზი, ჩინებული საგამოფენო დარბაზი, სხვადასხვა დანიშნულების კაბინეტები, რესტორანი „დურუჯი“, რომელიც გვიან ღამემდე იმუშავებს. იმედია, ეს სახლი დასაბამს მისცემს მრავალ შემოქმედებით წამოწყებას, კიდევ უფრო დააახლოებს ერთმანეთთან მსახიობებს, მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, არქიტექტორებს, ჟურნალისტებს...

მსახიობის სახლის ეზოში გაშენდება სკვერი. აქ დაიდგმება ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა ბიუსტები.

ამიერიდან ქართული თეატრის დღეს აღვნიშნავთ სპეციალური პრემიებით წელიწადის საუკეთესო თეატრალური ნამუშევრებისათვის. ასეთი პრემიები მიენიჭებათ მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლებს, რეჟისორულ ნამუშევარსა და თეატრალურ მხატვრობას. ლაურეატებს გამოაცხადებენ ყოველ 14 იანვარს.

საუბარი ჩაიწერა **ლია მიქაძემ**



სურათებზე ზევით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოდო ანთაძე, ქვევით — მსახიობის სახლი.

ფართოვდება ურთიერთობა, მტკიცდება კავშირები

ტა გუგუშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პოეტმა-აკადემიკოსმა **ანა ბაშიძემ**, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ალექსი ელიავამ**, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა **ეფრემ მეორემ**, ქალაქ თბილისის დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შოთა ბუაძემ**, მწერალმა **ლევან გოთუამ**, ფიზიკოსმა **შალვა ამირანაშვილმა**. საქართველოს სახელმწიფო ბალეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **რაფიელ ელიავა-შვილმა**, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ **გივი მელაძემ**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ამირან ცამცაშვილმა**, ჟურნალ „სამშობლოს“ რედაქტორმა **ვახტანგ ესვანჯიამ** და სხვებმა.

ამ დღეებში გაიმართა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა 1971 წლის პირველ კვარტალში საზოგადოების მუშაობის გეგმა.

მომხსენებელმა, საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ოთარ გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაფართოვდა კავშირურთიერთობა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, კერძოდ, ახალი წლის პირველ დღეებშივე საზოგადოებამ მრავალი წერილი მიიღო სხვადასხვა ქვეყნებიდან. დიდია მოთხოვნა ქართულ წიგნზე, ლექსიკონებზე, „დედაენაზე“, ქართული წერის სავარჯიშო რვეულებზე. ამასთან დაკავშირებით წლეულს სერიოზული ყურადღება მიექცევა საგამომცემლო საქმეს.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საზღვარგარეთელ თანამემამულეთა მოწვევის საკითხი. გადაწყდა, ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნებიდან წლეულს სტუმრად მოიპატიჟონ 30-მდე თანამემამულე. განზრახულია აგრეთვე ზაფხულის არდადეგების პერიოდში დასასვენებლად მოიწვიონ საზღვარგარეთელ თანამემამულეთა შვილები 8-დან 15 წლის ასაკამდე.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პრეზიდიუმის წევრებმა — პროფესორმა **პაატა გუგუშვილმა**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პოეტმა-აკადემიკოსმა **ანა ბაშიძემ**, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ალექსი ელიავამ**, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა **ეფრემ მეორემ**, ქალაქ თბილისის დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შოთა ბუაძემ**, მწერალმა **ლევან გოთუამ**, ფიზიკოსმა **შალვა ამირანაშვილმა**, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **რაფიელ ელიავა-შვილმა**, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ **გივი მელაძემ**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ამირან ცამცაშვილმა**, ჟურნალ „სამშობლოს“ რედაქტორმა **ვახტანგ ესვანჯიამ** და სხვებმა.

მეტროპოლიტენი ხუთი წლისაა

1966 წლის 11 იანვარი...

თბილისმა პირველად გაუღიმა მიწისქვეშეთი ცისფერ მატარებლებს. სწრაფი, ხელსაყრელი და უსაფრთხო ტრანსპორტით ერთმანეთს დაუკავშირდა ქალაქის სხვადასხვა კუთხე. ეს იყო თბილისის მეტროპოლიტენის პირველი უბანი, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ მწყობრში ჩადგა პირველი რიგის მეორე უბანიც. მაშინ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ვზეიმობდით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩვენი დედაქალაქის მიწისქვეშა რკინიგზას ეწოდა: „თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენი“.

1967 წლის დამლევს მეტრომშენებლებმა თბილისელებს გადასცეს 2,2 კილომეტრი სიგრძის მეორე ლიანდაგი „ვაგზლის მოედანსა“ და „ელექტროდეპოს“ შორის და მეორე ჩასასვლელი სადგური „ვაგზლის მოედანზე“ ოქტომბრის ქუჩიდან.

დღეისათვის მიწისქვეშა მაგისტრალების სიგრძე დაახლოებით 10 კილომეტრია და ქალაქის დამორებულ მხარეებს — ავლაბარსა და დიდუბეს ერთმანეთთან აკავშირებს.

1971 წელს კიდევ ორი სადგური აშენდება — „ისანი“ და „ნავთლუღი“. (ამ უკანასკნელის სახელწოდება პირობითია). ეს იქნება 2,3 კილომეტრი სიგრძის ხაზი, რითაც დამთავრდება მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა.

მეტრომშენებლებს განვლილმა ხუთმა წელიწადმა დიდი გამოცდილება მოუტანა. აღიზარდნენ ყველა პროფესიის შესანიშნავი სპეციალისტები.

ახლა თბილისის მიწაში დღე-ღამის განმავლობაში 700 მატარებელი დადის. გაიზარდა მოძრაობის სიჩქარე. 1966 წლიდან მგზავრთა რიცხვი, რომლებიც მიწისქვეშა ტრანსპორტით სარგებლობენ, 4-ჯერ გადიდდა. განვლილ ხუთ წელიწადში ცისფერმა ექსპრესებმა 250 მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს.

მეტრომშენებლებს მოუთმენლად ელიან სადგურებზეც. მიწისქვეშა გვირაბები მოიცავენ ჯაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის გამზირებისაკენ. ახალ სადგურებს დაერქმევა „წერეთლის გამზირი“, „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, „კომკავშირული“, „დელისი“.

მეტრომშენებლები ვარკეთილის საცხოვრებელ მასივსაც მალე მიაკითხავენ.

საპატიო პრემია

თბოგადაცემის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის მაქს იაკობის სახელობის პრემია 1961 წელს დააწესეს ამერიკის ინჟინერ-მექანიკოსთა საზოგადოებამ და ამერიკის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტმა. ეს პრემია დღემდე მიენიჭა ხუთ ამერიკელ, ერთ დასავლეთგერმანელ, ერთ ინგლისელ და ერთ იაპონელ მეცნიერს. მემორიალური პრემიის ხსენებულ რვა ლაურეატს შორის არიან მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: ევერტი, მაკ ალმსი (აშშ), ნუკიამა (იაპონია) და სხვები.

ახლახან საფრანგეთის ქალაქ ვერსალში დამთავრდა თბოგადაცემების დარგში მომუშავე მეცნიერთა IV საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე გამოჩენილ საბჭოთა ქართველ მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ **სამსონ ჭუთათელაძეს** საზეიმო ვითარებაში გადაეცა მაქს იაკობის სახელობის პრემია.

სამსონ ჭუთათელაძე ამჟამად ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თბური ფიზიკის ინსტიტუტს.

ცისფერი ალი გურჯაანში

საგარეჯო-გურჯაანის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა შარშან იანვარში დაიწყო და მეტად რთულ ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობდა. მაგრამ მთავარგაზის სამმართველოს სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტისა და რუსთავის სამმართველოს მშრომელებმა ყველა დაბრკოლება გადალახეს და ტრასა ვადაზე ორი თვით ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ. იმის გარდა, რომ მშენებლებმა სწრაფი ტემპით იმუშავეს, სამუშაოებიც მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

13 იანვარს გურჯაანში პირველად აინთო ცისფერი ალი. აგებულია ავტომატური გაზმარეგულირებელი სადგური, აგრეთვე ორი გაზმარეგულირებელი პუნქტი, რომლებიც უშუალოდ ქალაქში დამონტაჟდა. კარგად შესრულდა ქალაქში ქუჩის ქსელების გაყვანის სამუშაოები, გაზის მიაღებად მომზადდა გურჯაანის საკონსერვო ქარხანა და კომუნალური საცხოვრებელი სახლები.

ფილარმონია „70“ და „71“

ამ კითხვაზე — *როგორი იყო ქართული ფილარმონიის მასხიობთა მოგზაურობის რუკა 1970 წელს* — ფილარმონიის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ალექსი ჟიშიანმა გვიპასუხა:

— სახელმწიფო ტრიომ, ლიანა ისაკაძის, თამარ გაბარაშვილისა და მარინე მდივნის მონაწილეობით, კონცერტები გამართა კუბაში, ჰოლანდიაში, იაპონიაში, ბულგარეთსა და უნგრეთში.

დირიჟორი ჯემალ გოკიელი სგასტროლოდ იმყოფებოდა იუგოსლავიაში, პოლონეთსა და უნგრეთში; პიანისტმა ელისო ვირსალაძემ და დირიჟორმა ზაქარია ხუროძემ დიდი წარმატებით მოიარეს ჩეხოსლოვაკია; თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა შოთა კიკნაძემ, თენგიზ მუშკუდიანმა, ნათელა ტუღუშმა, ლილიანა მითაიშვილმა მოხიბლეს გერმანელი მაყურებელი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი მარინე იაშვილისა და იგორ პოლიტკოვსკის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებელი ანსამბლი „დოლური“ ათი კაცის შემადგენლობით გასტროლებს მართავდა იაპონიაში.

საქართველოს სახელმწიფო ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ამჟამად ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში იმყოფებიან.

მოცეკვავეთა ტრიომ აღაპიშვილის, მოსიას, მუქერიას მონაწილეობით წარმატებით მოიარა ბელგია და ჰოლანდია.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიაში გამოდიოდა.

სახელმწიფო კვარტეტი ვარდენის, ჟვანიას, მელიქიშვილის, ბარნაბიშვილის მონაწილეობით იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო ეთერ ჭელიძემ ცალფა კონცერტები გამართა პოლონეთში. ვოკალურ-საკრავიერმა ანსამბლმა „ორერამ“ აღტაცებაში მოიყვანა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის მსმენელები.

აფრიკის ქვეყნებს—ალჟირს, სენეგალს, მალის, ტოგოს, გვინეასა და სხვას ესტუმრა საესტრადო ანსამბლი „დიელო“. აფრიკის ქვეყნებში იმყოფებოდა აგრეთვე ვოკალური ტრიო მარჯან გოძიაშვილის ხელმძღვანელობით. საესტრადო ანსამბლმა „ციცინათელამ“ დაატყო უნგრელი მაყურებელი.

საფრანგეთში ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიიდან გაემგზავრა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყო ვოკალური ანსამბლი „გორდელა“, საესტრადო ანსამბლი „ორერა“ და მოცეკვავეები სახელმწიფო ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლიდან.

საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“ საგასტროლოდ პოლონეთში იმყოფებოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ისიც გვაინტერესებს, თუ სად გაემგზავრებიან ფილარმონიის მსახიობები 1971 წელს. ბატონმა აპოლონმა ამ შეკითხვაზეც დაწვრილებით პასუხი გაგვცა:

— საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით მიწვეულია კანადაში.

საქართველოს სახელმწიფო ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ვფიქრობთ, ესპანეთში გაემგზავრება. კამერული ორკესტრი მარინე იაშვილისა და იგორ პოლიტკოვსკის ხელმძღვანელობით კონცერტებს გამართავს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში. სახელმწიფო კვარტეტი ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ ეწვევა უცხოეთის რამდენსამე ქვეყანას. საესტრადო ანსამბლი „ორერა“ და „დიელო“ ამჯერად დასავლეთ გერმანიას ეწვევიან.

ორი შერეული ჯგუფი 20-25 კაცის შემადგენლობით ლათინურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გაემგზავრება. რა თქმა უნდა, ფილარმონიის მსახიობები კონცერტებს ჩვენი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებშიც გამართავენ, ქართულ ხელოვნებას ხომ სწორედ საბჭოთა კავშირში ჰყავს უპირველესი თაყვანისმცემლები.

საუბარი ჩაიწერა
გულნარა სეფერთელაძემ

„ქარხნული ფილმის“ სიახლენი

● **საბჭოთა** კავშირის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა სიკო დოლიძემ დაამთავრა ახალი ფერადი მხატვრული ფილმის „სემირამიდას ბაღების“ გადაღება.

ამ ფილმს წინ უსწრებდა სიკო დოლიძის ომამდე გადაღებული დოკუმენტური ფილმი „მეგობრობა“, რომელშიც ასახული იყო გენიოსკისა და მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მეგობრობა. სამამული ომის წლებში მათი ძმობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ოკუპირებული გენიოსკელები საცხოვრებლად მახარაძელ მეგობრებთან ჩამოვიდნენ. და აი სწორედ უკრაინელი და ქართველი ხალხის ამ მეგობრობას მიეძღვნა ეს ფილმი.

ფილმის მთავარი მოქმედი პირია მტკიცე და ენერგიული თავმჯდომარე მაგდა, რომლის როლს ასრულებს **მეგი წულუკიძე.**

სემირამიდას ბაღები კი — ოქროსფრად გადაჭიმული მანდარინის პლანტაციებია.

● **ამჟამად** მიმდინარეობს ახალი ფილმის — **„დედის ფიქრები“** გადაღება. მისი რეჟისორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი **შოთა მანაგაძე,** სცენარი ეკუთვნის კინოდრამატურგს **სულიკო ჟღენტის.**

● **სულიკო ჟღენტისა და რეზო ჩხეიძის** კინოსცენარით წელეულს გადაიღებენ **„ციმბირელ პაპას“,** რომელიც სამოქალაქო ომის გმირს, ციმბირელი პარტიზანების ხელმძღვანელს ნესტორ კალანდარიშვილს ეძღვნება.

ვისაც ხელოვნება უყვარს



სურათებზე: მარჯვნივ — კომპოზიტორი შალვა მშველიძე სტუდენტებთან, ქვევით — საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პედაგოგი ჯიბრონ ხუნდაძე (მარცხნივ) მეცადინეობაზე.

ხელოვნების ფაკულტეტი, რომელიც უნივერსიტეტში ამ ხუთიოდე წლის წინათ შეიქმნა, წელეულს პირველად დაულოცავს გზას თავის აღსაზრდელებს. ახალგაზრდა ინჟინრები თუ ექიმები, პედაგოგები თუ იურისტები თავიანთ სამუშაო ადგილზე ჭეშმარიტი ხელოვნების დიდ სიყვარულსაც მიიტანენ და წლების მანძილზე ნასწავლსა და შესისხლხორცებულს სხვებსაც გაუზიარებენ.

თავისთავად უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტის შექმნა, სადაც თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მეცადინეობენ, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — ყველა ახალგაზრდამ, რა პროფესიისაც უნდა იყოს, შეძლოს ხელოვნებაში ჭეშმარიტების გარჩევა, ამ უკიდეგანო ოკეანეში ამოყარჩიოს მხოლოდ და მხოლოდ ხალასი მარგალიტები, დატკბეს და სხვებიც დაატკბოს იმ სიხარულით, რომელსაც ადამიანებს ნამდვილ ხელოვნებასთან შეხვედრა ანიჭებს.

შემთხვევითი როდია, რომ უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე რექტორმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ ხელოვნებისმცოდნეობის ფაკულტეტის არსებობას, მის აქტუალობას საგანგებოდ გაუსვა ხაზი და მისდამი მეტი ყურადღება მოითხოვა, ჩვენ კი, პროფესორ-მასწავლებლებს, ყოველდღიური საქმიანობის უკვე წარმართვა დაგვავალა.

ხელოვნების ფაკულტეტი ექვსი განყოფილებით არის წარმოდგენილი, კინომცოდნეობისა და სცენარისტთა განყოფილებას საქართველოს სახალხო არტისტი რეზო ჩხეიძე ხელმძღვანელობს, სახვითი ხელოვნების განყოფილება ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დოცენტ ოთარ ფირალიშვილს აბარია, ფერადი პოლიგრაფიის განყოფილებას ხელმძღვანელობს ოლეგ კვლივიძე, მხატვრული ფოტოს — სანდრო მამასახლისი, საშემსრულებლო განყოფილებას — დოცენტი თენგიზ ჩოჩუა, ხოლო მუსიკისმცოდნეობის განყოფილებას წარმართავს ამ სტრიქონების ავტორს აქვს მინდობილი.

ხელოვნების სამყაროს სტუდენტებს აცნობენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ჭიაურელი, საქართველოს სახალხო არტისტები შალვა მშველიძე, დიმიტრი მჭედლიძე, ლილი გვარამაძე, პროფესორი ნიკოლოზ გუდიაშვილი, ბორის გულისაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ეკატერინე ბაღდავაძე და სხვები.

მაინც რას სწავლობენ ჩვენთან მოსული, ხელოვნებაზე უზადოდ შეყვარებული ახალგაზრდები? მუსიკისმცოდნეობის განყოფილება ამზადებს მუსიკისმცოდნეებს მუსიკის ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში, ლოგიკასა და ესთეტიკაში, აკუსტიკასა და ეთნოგრაფიაში, აგრეთვე მუსიკალურ ფილოლოგიაში, რომელიც გულისხმობს ძველ საგალობელთა კრებულების დამუშავებას, ნევმატიურ ნოტაციაზე მუშაობას.

კინოს განყოფილების სტუდენტები ფილმის გადაღების ხელოვნებას ეუფლებიან. ისინი ძალზე ხშირად თვითონ არიან სცენარის ავტორები, რომელთა მიხედვით რესპუბლიკის წამყვან რეჟისორებთან ერთად მოკლემეტრაჟიან ფილმებს იღებენ.

მწახველთა ჭმაყოფილებას იმსახურებს სტუდენტი გრაფიკოსების, მოქანდაკეებისა და მხატვრების ნახელავი. კულტურის მინისტრის, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის რჩევით ამ სპეციალობებს მალე ხელნაწერთა და ფერწერის რესტავრატორთა სპეციალობაც შეემატება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხელოვნების ფაკულტეტი ამგვარი სახით ერთადერთია საბჭოთა კავშირში და, რა თქმა უნდა, მუშაობის პერიოდში საკმაოდ ბევრი სიძნელის გადაჭრა გვიხდება. საქმემ დიდი ენერგია, თავგამოდება მოითხოვა, მაგრამ შედეგიც სასურველია.

შარშან ორჯერ მოეწყო სახვითი ხელოვნების სტუდენტთა გამოფენა, რამდენიმე კონცერტი გაიმართა საშემსრულებლო განყოფილების სტუდენტთა და პედაგოგთა მონაწილეობით, საკურსო სპექტაკლი მოამზადა და მაყურებლებს უჩვენა დიდმა ხელოვანმა მიხეილ ჭიაურელმა. დიდი ზეიმით აღვნიშნეთ ბეთჰოვენის დაბადების 200 წლისთავი, ვაპირებთ „ეგმონტის“ დადგმას გერმანულ ენაზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით გავმართავთ საიუბილეო კონცერტების ციკლს. გვინდა ღირსეულად აღვნიშნოთ აგრეთვე ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი.

ხელოვნებისმცოდნეობის ფაკულტეტზე მრავალი სამეცნიერო დისერტაცია მომზადდა. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ბორის გულისაშვილმა, საკანდიდატო ნათელა ურუშაძემ და ელენე ბალანჩივაძემ. ქართულ ენაზე მანანა შილაკაძემ თარგმნა კნუტ იეპესენის „კონტრაპუნქტი“, მერი მოშიაშვილმა შეადგინა „სოლფეჯიოს“ კრებული ქართული სიმღერების მასალებზე.

ხუთი წლის მანძილზე ხელოვნებისმცოდნეობის ფაკულტეტმა დაამტკიცა, რომ ჩვენს მეცადინეობას ფუჭად არ ჩაუვლია. მომავალში, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ მსმენელს მოვიზიდავთ, კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას გავუღვიძებთ ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი სიყვარულს.

პროფესორი
ვაჟა გვახარია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი

„საქართველო — ლეგენდები და სინამდვილე“


სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში იღებენ ახალ სრულმეტრაჟიან ფართოფორმატიან დოკუმენტურ ფილმს, რომელსაც პირობითად „საქართველო — ლეგენდები და სინამდვილე“ ჰქვია. ეს ფილმი მოგვითხრობს ჩვენი რესპუბლიკის 50 წლის სახელოვან გზაზე, გვიჩვენებს მის მიღწევებსა და წარმატებებს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. სცენარის ავტორები არიან გიორგი ახათიანი და მიხეილ სალუქვაძე, დამდგმელი რეჟისორები — გიორგი ახათიანი და ვახტანგ მიქელაძე.

ამავე სტუდიაში იღებენ ფილმს „ბედი სოფლისა“, რომელსაც ავრეთვე სახელოვან იუბილეს მიუძღვნიან ავტორები. ეს სურათი გვიჩვენებს წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის მშრომელთა ცხოვრებას ამ სოფელში პირველი კომუნის დაარსებიდან დღემდე. სცენარის ავტორია ვახტანგ მამალაძე, დამდგმელი რეჟისორი — ვარლამ ალავიძე.

მალე დამთავრდება მუშაობა ფილმ „ხევსურეთზე“. ეს არის ერთ-ერთი სურათი ციკლიდან „ათი წუთი საბჭოთა კავშირის გზებზე“. ფილმი ეძღვნება ჩვენი საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, მის სიმღერებსა და ცეკვებს. სცენარის ავტორები არიან გურამ უვანია და ალექსანდრე სიგუა, რეჟისორია ოთარ გურგენიძე.


„საქართველოს საესტრადო სიმღერები“ — ასე ჰქვია მუსიკალურ ფილმს, რომელშიც ვიხილავთ ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლებს „ორერასა“ და „ივერიას“ და პოპულარულ ქართველ მომღერალს გიული ჩოხელს. სცენარის ავტორი და ფილმის რეჟისორია ირაკლი ასათიანი.







მს ორიგინალური, მაღალმხატვრული სამახსოვროები თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოშია დამზადებული. იგი აკადემიის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ნახელავი გახლავთ. ძველი ქართული სტილით შესრულებული ვერცხლის ფიალა, ქალის ბეჭდები, სამაჯურები, ქამრები, ხის სურები, თბილისელთა და ჩვენი ქალაქის სტუმართა დიდ მოწონებას იმსახურებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული სამახსოვრო ათ ცალზე მეტი არ მზადდება. ამ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში დამზადებული ნივთები ექსპონირებული იყო მონრეალში, საფრანგეთში, პოლონეთში, იტალიაში და ყველგან აღფრთოვანებას იწვევდა. უცხოეთის ფირმებისა და ცალკეულ პირთა ბევრი მოთხოვნა მოდის ქართულ სამახსოვროებზე. სულ ახლახან ქართველ ხელოვანთა ნამუშევრები გაიგზავნა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.



„ვარსკვლავები“

ზაურ ბოლქვაძის პირველი პოეტური კრებულით 1960 წელს წარდგა ფართო საზოგადოების წინაშე. წიგნმა, რომელსაც „ღელვის დასაწყისი“ ერქვა, ადვილად გაიკვლია გზა მკითხველთა გულისაკენ. ამიტომ იყო, რომ მისი ლექსების შემდეგი კრებულები მხოლოდ რამდენსამე დღეს თუ შერჩენია მაღაზიის წიგნის თაროებს.

ამ დღეებში პოეზიის მოყვარულებმა მიიღეს ზაურ ბოლქვაძის კიდევ ერთი ახალი პოეტური კრებული — „ვარსკვლავები“. მასში ავტორი მთელი განცდით გვიხატავს ადამიანურ სიხარულსა თუ ტკივილს, უმღერის სამშობლოს, ახალ ცხოვრებას და ამ ცხოვრების საუკეთესო ადამიანებს. განსაკუთრებული სითბოთი იგონებს პოეტი უნივერსიტეტს, მის პროფესორ-მასწავლებლებს, იქ გატარებულ საუცხოო დღეებს.

გთავაზობთ ერთ ლექსს ამ კრებულიდან.

მარად იქნება ასე!

სულში ანთია, გულში თესია
შუქი მამულის მზისა...
ყველა მიწაზე უტკბესია
შენი სამშობლო მიწა.

მარადისობის ფარი, თავდები,
ერის პირველი მცველი, —
ყველა ენაზე გამოსადეგი
დედაენაა შენი!

ყველა ზრუნვაზე ძვირფასი არის
ზრუნვა მშობელი დედის...
იმედად ნათობს მარად მზიანი
გამზრდელის თბილი მკერდი.

სადაც არ უნდა წახვიდე, გული
დედას ეძახის, ითხოვს...
და შენს სიცოცხლეს სდარაჯობს, უვლის
მამის მარჯვენის სითბო.

თუნდ ამხანაგი ათასი გყავდეს,
ანდა ათასზე მეტი,
გაჭირვებაში, ყველაზე ადრე,
ძმა დაგიდგება გვერდით.

შენი ტკივილით ყველაზე მეტად,
დას ეტკინება გული,
ყველაზე ადრე გაჩნდება შენთან,
იგრძნობს შენს ფიქრს და სურვილს.

გახსოვდეს: ერის მერმისი დღე ხარ,
ხალხი იმედად გელის,
ყველაზე ლამაზ სიცოცხლით ქვეყნად,
მიწა გაცოცხლებს შენი!

სადაც იშვი და აიდგი ფეხი,
გულიც იმ კუთხით თბება,
ყველაზე მეტად შენ შენი ქვეყნის
შენება დაგშვენდეს!

სანამდე გადევს მამულს ვალი,
გწამდეს, ვერ მოისვენებ,
ყველაზე უფრო სამშობლო მხარის
სიმღერებს მოგისმენენ!

თუ შენი გული ერისთვის ფეთქავს,
გაწუხებს ბედი მისი,
ალალ სიყვარულს, ყველაზე მეტად,
შენივე ხალხი გიძღვნის!

თუ გსურს, მომავალ დიდი სინათლით
გზა მოეფინოს ფართო, —
ყველაზე მეტად შენი წინაპრის
პატივისცემა გმართებს!

გახსოვდეს: შენს ერის შთამომავლებს ლექსი აქვს,
გმირული სული მოსდებს,
ყველა ცოდნაზე უმთავრესია
შენი წარსულის ცოდნა!

თუ იელი სწავლის, ძიების გზებით
და ოფლს შრომაში დაღვრი,
ქვეყნად ყველაზე მართალი ქებით
შეგაქებს შენი ხალხი!

თუ ხალხს ეკუთვნი სიხარულით და ხორცით,
თუ ხარ სიკეთის მფენი,
ქვეყნად ყველაზე მხურვალე ღოცვით
ერი დაგლოცავს შენი!

ნიჭსა და შრომას, ყველაზე მეტად,
მამული დაგიფასებს!
ასე ყოფილა ოდითგან ეს ქვეყანა,
მარად იქნება ასე!

ზაურ ბოლქვაძე

გამომცემლობები იუბილეს

„საბჭოთა საქართველო“

რესპუბლიკის ყველაზე დიდი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ (დირექტორი ვახტანგ ჭელიძე) ბევრ საინტერესო წიგნს ამზადებს საიუბილეოდ. ამ თარიღს ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მიერ მომზადებული წიგნი „საქართველოს სსრ“, რომელშიც მოკლედ არის ასახული საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მთავარი ეტაპები განვლილი 50 წლის მანძილზე.


ალბომი „ქართული წიგნი“ — მკითხველს საშუალებას მისცემს თვალი გადაავლოს ქართული წიგნის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. საიუბილეო თარიღს ეძღვნება ვალერიან ესაიაშვილის შრომა — „ლენინი და საქართველო“, ვასო სიხარულიძის — „ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობა“, ვლადიმერ მერკვილაძის — „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება საქართველოში“, გიორგი სიხარულიძის — „ქართველი სპორტსმენები დიდ სარბიელზე“ და სხვა.

იუბილეს დღეებში „საქართველოს ისტორიის“ რვატომეულიდან მკითხველი მიიღებს პირველ სამ ტომს, მთლიანად მისი გამოცემა 1972 წელს დამთავრდება.

გამომცემლობა შარშან შეუდგა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამოშვებას. პირველი სერია შედგება 80 ტომისაგან, რომლებშიც მოთავსებულია საუკეთესო ნაწარმოებები მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან. ბევრი მათგანი პირველად ითარგმნება ქართულად. უკვე გამოვიდა ამ სერიის პირველი წიგნი — „ვეფხისტყაოსანი“.

გრძელდება „სასაჩუქრო ბიბლიოთეკის“ გამოცემა: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და ვაჟა-ფშაველას რჩეული ლექსების, პოემებისა და მოთხრობების ორი წიგნის შემდეგ გამოვიდა ალექსანდრე პუშკინის მოთხრობების სასაჩუქრო წიგნი მხატვარ ჯემალ ლოლუას ჩინებული გაფორმებით. იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ თხზულებათა ორი წიგნი სამ „ალოლოფად“, რომელსაც დავით კაკაბაძის მხატვრობა დაამშვენებს.

მზადდება ქართული ფოლკლორის სასაჩუქრო ტომი (შემდგენელი ელენე ვირსალაძე), რომელიც გამონაკლისის სახით სხვა წიგნებზე მოზრდილი იქნება. გამოიცემა „ტრისტან და იზოლდას“ გერონტი ქიქოძისეული თარგმანი და კიდევ ბევრი სხვა შესანიშნავი წიგნი.



„განათლება“

გამომცემლობა „განათლება“ (დირექტორი ხუტა ბერულავა) ახალგაზრდობის დიდი მეგობარია. მეგობრობის საუკეთესო გამოხატულება კი ის არის, რომ გამომცემლობა ყოველთვის დროულად აწვდის მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს. გარდა სახელმძღვანელოებისა, „განათლება“ მხატვრულ ნაწარმოებებსაც ბეჭდავს.

● ახლახან გამომცემლობამ გამოუშვა პროფესორ ლევან სანიკიძის ახალი გამოკვლევა — „რომის გვიანდელი რესპუბლიკა“. წიგნი ეხება რომის ისტორიის საინტერესო პერიოდს, რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობას, იმას, თუ რა გავლენა იქონია აღმოსავლეთთან ურთიერთობამ რომის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

წიგნის რედაქტორია პროფესორი ნოდარ ლომოური.

● წიგნის მოყვარულთა თაროს კიდევ ერთი საახალწლო საჩუქარი შეემატა. „განათლებამ“ 25-ათასიანი ტირაჟით გამოუშვა სიმონ გუგუნავას მიერ გალექსილი პოპულარული ისტორიული პოემა — „თამარიანი“.

„თამარიანში“ აღწერილია XIII საუკუნის პირველი ნახევარი. მასში დამაჯერებლად არის აღდგენილი ეპოქის სული. სწორედ ამ დამაჯერებლობამ, ისტორიულმა ჭარგამ, წარმტაცმა ამბავმა, ბრძნულმა ხერხმა და თქმებმა, ხალხურ სიტყვიერებასთან სიახლოვემ განაპირობა „თამარიანის“ დიდი პოპულარობა. პირველად იგი 1888 წელს გამოიცა, დღეს კი მეათედ ქვეყნდება.

მეათე გამოცემა განკუთვნილია მკითხველთათვის, როგორც საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიაში. ამავე დროს ეს გამოცემა საუბილეო საჩუქარია, რომელიც ეძღვნება დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

● „ერთნი ამბობენ, ჭადრაკი სპორტია, მეორენი — მეცნიერება, მესამენი — ხელოვნებაო. ჭადრაკმა ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა სწორედ იმით დაიმსახურა, რომ მასში საოცარი პრინციპულობით შეერწყმის ერთმანეთს ბრძოლის (სპორტის), შემოქმედების და ხელოვნების ელემენტები“ — ასე იწყება „განათლების“ მიერ ახლახან გამოცემული გიორგი მახარაძის წიგნი — „ჭადრაკის ქალღმერთი იღიმება“.

გიორგი მახარაძე ჭადრაკის ერთ მეტად სხარტად და ლამაზად გადმოგვცემს მსოფლიოს ცნობილი მოჭადრაკეების მინიატურულ პარტიებს. აქ მრავალი საინტერესო საჭადრაკო მინიატურის ექსტრაორდინალური მაგალითის შეხვედება მკითხველი.

წიგნში მოყვანილია მინიატურის ბრწყინვალე ავტორთა — უან-ჟაკ რუსოს, ნაპოლეონ ბონაპარტეს, თურგენევის, ანდრია დადიანისა და სხვათა მინიატურული პარტიები.

ავტორმა წიგნი მიუძღვნა ჭადრაკის დედოფალს ნონა გაფრინდაშვილს.

ქართველი მკითხველი არ არის მაინც და მაინც განებივრებული საჭადრაკო ლიტერატურით. ამგვარი სახის ნაშრომი კი პირველია ქართულად (ეს წიგნი გიორგი მახარაძის მეორე ნაშრომია ჭადრაკზე. პირველს — „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები“ მკითხველები 1960 წელს გაეცნენ).

ვფიქრობთ, წიგნი დააინტერესებს როგორც მოჭადრაკეებს, ისე მათ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.

გამომცემლობები — იუბილეს

„ნაკადული“

ამ გამომცემლობასთან ნორჩებს ძალზე ბევრი აქვთ საერთო.

„ნაკადული“ (დირექტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე) წიგნებს აწვდის სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებს, მოსწავლეებს. ეს წიგნები ჩვენი და უცხოელი მწერლების საუკეთესო ქმნილებებია, გამოირჩევიან უზადო მხატვრული გაფორმებითაც.

ახლახან წიგნის თაროებზე კვლავ გამოჩნდა ნაკადულისეული გამოცემები. სერიით „ქართველები დიდ სამამულო ომში“ გამოქვეყნდა ავიაციის გადამდგარი გენერალ-მაიორის დიმიტრი შანშაშვილის დოკუმენტური მოთხრობა „ქართველი შემართლები“.

წიგნი ეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირს დავით ჯაბიძეს და სამას ქართველ მფრინავს, მათ სახელოვან საბრძოლო გზას. მასში მხატვრულად არის გადმოცემული მრავალი საინტერესო ეპიზოდი ჩვენი თანამემამულეების — უშიშარი შევარდნების თავგანწირვაზე.

● გამომცემლობამ აფხაზური პოეზიის ბიბლიოთეკის სერიით ნორჩ მკითხველებს შესანიშნავი ნობათები შესთავაზა — ქართულად გამოსცა აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას პოემა — „ბულბული და მელა“ (თარგმნა რევაზ მარგიანმა), ჭიჭიკო ჯონუას პოემა „უცნაური სტუმარი“ (თარგმნა კუკური გოგიაშვილმა) და ალექსი ჯონუას ლექსები — „ბაზაზხული“ (თარგმნეს ხუტა გაგუამ, შოთა აკობიამ და ჯანსუღ ნიქაბაძემ).

ეს წიგნები შესანიშნავად არის დასურათებული მხატვრების — გიორგი ალექსი-მესხიშვილისა და შალვა ცხადაძის მიერ.

● ახალი წლის პირველ დღეებში გამოვიდა მწერალ როსტომ ელანიძის შვილებრების წიგნი — „თეთრი მრცხალი“.

ეს კრებული უპირველესად ტყის ბინადართა ცხოვრებაზეა შექმნილი. თურმე მათ შორისაც ბევრია მშობლიური ბუდის მოყვარული, გულადი, შრომისმოყვარე. ვის არ შეხვდებით წიგნის ფურცლებზე — ცბიერ სინდიოფალას, ექიმ მოლაღურს, უწყინარ მწყერჩიტას, ენაჭარტალა კაჭკაჭს, მშიშარა კურდღელს, თეთრ მერცხალსა და სხვებს. თუმცა წუნიაც გვხვდება, ტრაბახსაც და უმადურიც, მაინც ყოველთვის კეთილი და მართალი ფრინველი თუ ცხოველი იმარჯვებს.

● რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. სათქმელის სიღრმე, თხრობის სიდარბაისლე, ეროვნული სურნელი, დიდებული ენა ხიბლავს ყველას, ვინც ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ საინტერესო მწერლის შემოქმედების გზას.

რაჟით გამოუშვა სიმონ გუგუნავას მიერ გალექსილი პოპულარული ისტორიული პოემა — „თამარიანი“.

„თამარიანში“ აღწერილია XIII საუკუნის პირველი ნახევარი. მასში დამაჯერებლად არის აღდგენილი ეპოქის სული. სწორედ ამ დამაჯერებლობამ, ისტორიულმა ჭარგამ, წარმტაცმა ამბავმა, ბრძნულმა ხერხმა და თქმებმა, ხალხურ სიტყვიერებასთან სიახლოვემ განაპირობა „თამარიანის“ დიდი პოპულარობა. პირველად იგი 1888 წელს გამოიცა, დღეს კი მეათედ ქვეყნდება.

მეათე გამოცემა განკუთვნილია მკითხველთათვის, როგორც საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიაში. ამავე დროს ეს გამოცემა საუბილეო საჩუქარია, რომელიც ეძღვნება დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

● „ერთნი ამბობენ, ჭადრაკი სპორტია, მეორენი — მეცნიერება, მესამენი — ხელოვნებაო. ჭადრაკმა ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა სწორედ იმით დაიმსახურა, რომ მასში საოცარი პრინციპულობით შეერწყმის ერთმანეთს ბრძოლის (სპორტის), შემოქმედების და ხელოვნების ელემენტები“ — ასე იწყება „განათლების“ მიერ ახლახან გამოცემული გიორგი მახარაძის წიგნი — „ჭადრაკის ქალღმერთი იღიმება“.

გიორგი მახარაძე ჭადრაკის ერთ მეტად სხარტად და ლამაზად გადმოგვცემს მსოფლიოს ცნობილი მოჭადრაკეების მინიატურულ პარტიებს. აქ მრავალი საინტერესო საჭადრაკო მინიატურის ექსტრაორდინალური მაგალითის შეხვედება მკითხველი.

წიგნში მოყვანილია მინიატურის ბრწყინვალე ავტორთა — უან-ჟაკ რუსოს, ნაპოლეონ ბონაპარტეს, თურგენევის, ანდრია დადიანისა და სხვათა მინიატურული პარტიები.

ავტორმა წიგნი მიუძღვნა ჭადრაკის დედოფალს ნონა გაფრინდაშვილს.

ქართველი მკითხველი არ არის მაინც და მაინც განებივრებული საჭადრაკო ლიტერატურით. ამგვარი სახის ნაშრომი კი პირველია ქართულად (ეს წიგნი გიორგი მახარაძის მეორე ნაშრომია ჭადრაკზე. პირველს — „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები“ მკითხველები 1960 წელს გაეცნენ).

ვფიქრობთ, წიგნი დააინტერესებს როგორც მოჭადრაკეებს, ისე მათ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.

„ნაკადული“

ამ გამომცემლობასთან ნორჩებს ძალზე ბევრი აქვთ საერთო.

„ნაკადული“ (დირექტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე) წიგნებს აწვდის სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებს, მოსწავლეებს. ეს წიგნები ჩვენი და უცხოელი მწერლების საუკეთესო ქმნილებებია, გამოირჩევიან უზადო მხატვრული გაფორმებითაც.

ახლახან წიგნის თაროებზე კვლავ გამოჩნდა ნაკადულისეული გამოცემები. სერიით „ქართველები დიდ სამამულო ომში“ გამოქვეყნდა ავიაციის გადამდგარი გენერალ-მაიორის დიმიტრი შანშაშვილის დოკუმენტური მოთხრობა „ქართველი შემართლები“.

წიგნი ეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირს დავით ჯაბიძეს და სამას ქართველ მფრინავს, მათ სახელოვან საბრძოლო გზას. მასში მხატვრულად არის გადმოცემული მრავალი საინტერესო ეპიზოდი ჩვენი თანამემამულეების — უშიშარი შევარდნების თავგანწირვაზე.

● გამომცემლობამ აფხაზური პოეზიის ბიბლიოთეკის სერიით ნორჩ მკითხველებს შესანიშნავი ნობათები შესთავაზა — ქართულად გამოსცა აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას პოემა — „ბულბული და მელა“ (თარგმნა რევაზ მარგიანმა), ჭიჭიკო ჯონუას პოემა „უცნაური სტუმარი“ (თარგმნა კუკური გოგიაშვილმა) და ალექსი ჯონუას ლექსები — „ბაზაზხული“ (თარგმნეს ხუტა გაგუამ, შოთა აკობიამ და ჯანსუღ ნიქაბაძემ).

ეს წიგნები შესანიშნავად არის დასურათებული მხატვრების — გიორგი ალექსი-მესხიშვილისა და შალვა ცხადაძის მიერ.

რევაზ ინანიშვილი პატარა მოთხრობების ოსტატია.

სხვა სიკეთესთან ერთად ისიც გასაკვირია, რომ მწერალს არც ნორჩი მკითხველები დავიწყებია. სხვადასხვა დროის ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული საყმაწვილო მოთხრობები ერთ მოზრდილ წიგნად აუკინძავს და წიგნისათვის „სად ცხოვრობს მზღაპარი“ — ერთი თავისივე მოთხრობის სათაური დაურქმევია.

● „ნაკადული“ საიუბილეოდ ამზადებს „ქართული საბავშვო მწერლების ანთოლოგიას“. ჯერჯერობით გამოვა სამტომეულის I ტომი. მასში თავმოყრილი იქნება საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში შეუქმნია ქართულ საბავშვო პოეზიას.

● „ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოიცემა აგრეთვე ჩვენი საბავშვო ლიტერატურის კლასიკური ნიმუშები — ნიკო ლომოურის, შიო მღვიმელისა და თედო რაზიკაშვილის ნაწარმოებები. ამ სერიიდან საიუბილეოდ პირველი ხუთი ტომი მოესწრება.

● გამოვა მხატვრული ალბომი „აყვავდი, ტურშა ქვეყანავ“ ფოტოილუსტრაციებით. იგი მკითხველებს მოუთხრობს საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე.

ჩამოთვლილის გარდა, კიდევ ბევრი მწერლისა და მეცნიერის ნაწარმოებებით შეივსება საიუბილეოდ ნორჩი მკითხველის ბიბლიოთეკა.



საჰაერო გზების ოსტატი

ახლა როდესაც ჰიათურის მანგანუმი საქვეყნოდ არის ცნობილი, ასევე ცნობილი გახდა ჰიათურის საჰაერო-საბაგირო გზებიც. მსოფლიოში არ მოიპოვება მეორე სამრეწველო რაიონი, სადაც ერთდროულად იმდენი საჰაერო-საბაგირო გზა მოქმედებდეს, რამდენიც ჩემს ქალაქშია. თუ ციფრების ენით ვილაპარაკებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ამჟამად ჰიათურაში 53 საბაგირო გზაა, აქედან 11 სამგზავრო. საბაგირო გზის საერთო სიგრძე 60 კილომეტრს აჭარბებს. მალე მწყობრში ჩადგება კიდევ ორი სატვირთო და ექვსი სამგზავრო-საბაგირო გზა.


საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საჰაერო-საბაგირო გზებს გერმანელი და იტალიური ფირმები აშენებდნენ, გზების მშენებლობასაც ისინი ედგნენ სათავეში. 1932 წელს ჰიათურაში ამუშავდა საბჭოთა სპეციალისტების მიერ დაპროექტებული პირველი საბაგირო გზა. აქედან მოყოლებული, ჩვენი ქალაქის ამ ურთულეს საქმეს ქართველი ინჟინრები უძღვებიან, რომელთა შორის პირველობა გიორგი ფანცულაიას ეკუთვნის. ფოთში დაბადებული და გაზრდილი, ჰიათურაში 1934 წელს დასახლდა. მას შემდეგ მანგანუმის ქალაქი არ დაუტოვებია. ბატონ გიორგის ახლა ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ, სადაც საბაგირო გზები შენდება. იგი 30-მდე გამოგონების ავტორია. ქართველი ინჟინერი 1957 წელს მიწვეული იყო იტალიაში საჰაერო-საბაგირო გზების სპეციალისტთა მსოფლიო კონგრესზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა. გამოცდილების გასაზიარებლად იყო შვეიცარიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში...

გიორგი ფანცულაიას ხელმძღვანელობით ჰიათურაში დაპროექტდა და ამუშავდა საბჭოთა კავშირში პირველი სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა. ახლა ამ გზებით დასერილია ჰიათურის ცა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის გზა, რომლის მთავარი სადგური ქალაქის ცენტრში მდებარეობს. აქედან სამი მიმართულებით ერთდროულად მოძრაობენ სამგზავრო ვაგონები. ახლა ბევრი ჰიათურელი სამუშაოზე საჰაერო გზით დადის.

საჰაერო-გზების მშენებლობის ფართო მასშტაბმა განაპირობა ის, რომ სწორედ ჩემს ქალაქში რამდენჯერმე გაიმართა ამ სახეობის ტრანსპორტის სპეციალისტთა საკავშირო კონფერენცია და სიმპოზიუმი. აქაური საჰაერო-საბაგირო გზების მუშაობას გაეცნენ პოლონელი, გერმანელი, რუმინელი, ბულგარელი და სხვა ქვეყნების სპეციალისტები. გარდა ჰიათურისა, ჩვენმა სპეციალისტებმა ასეთი გზები ააშენეს თბილისში, ბორჯომში, მწვანე კონცხზე, აბასთუმანში, გურჯაანში, ლატვიის კურორტ სიგულდაში და სხვაგან.

ჰიათურა მანგანუმის ქალაქია, ახლა კი ხალხმა მას საჰაერო-საბაგირო გზების ქალაქიც შეარქვა. საჰაერო გზებმა ორიგინალური სახე მისცა ქალაქს, დაამშვენა. ეს მშვენება თვით ხალხმა შექმნა და იგი ამავე ხალხის სამსახურშია.

ალექსანდრე მეცხვარიშვილი,
გაზეთ „ჰიათურის მაღაროელის“ რედაქტორი.



სურათებზე: გიორგი ფანცულაია. ჰიათურის სამმხრივი საჰაერო-საბაგირო სამგზავრო გზა.

ხელხვავიანად შეხვდა

სტუდენტობისას ჩემს ყურადღებას იპყრობდა მაღალი, ხმელხმელი, სიმპათიური ლექტორი, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უნივერსიტეტის ეზოში რომ მხვდებოდა და აჩქარებული ნაბიჯით აუდიტორიისაკენ მიუყვებოდა. მაშინ როდი ვიცოდი, რომ ეს კაცი ისიდორე გვარჯალაძე იყო, სწორედ ის, ვის ნაშრომებზეც ვიზრდებოდით ახალგაზრდები.

ბატონი ისიდორე აღიარებული მეცნიერი, ლინგვისტი და მეთოდისტია. საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ნორვეგიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჰოლანდიიდან, ბელგიიდან და სხვა ქვეყნებიდან გულითად მადლობას უძღვნიან ქართველ მეცნიერს უცხოელი ქართველოლოგები, უნივერსიტეტები და ბიბლიოთეკები საუკეთესო სახელმძღვანელოებისა და შესანიშნავი ლექსიკონებისათვის.

ორიოდე წლის წინათ ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ქართული ენის დიდი სპეციალისტი პროფესორი ჰანს ფოქტი ბატონ ისიდორეს სწერდა: „დიდი მადლობელი ვარ... თქვენმა ლექსიკონებმა გამომიყვანეს მდგომარეობიდან. ფრანგულ ენაზე გამოსაცემად ვამზადებ ქართულ გრამატიკას და ახლა თქვენი ლექსიკონებით ვსარგებლობ“.

მეორე წერილში იგი წერს: „...ეს ლექსიკონები ძალიან ესაჭიროებათ ჩემს მოწაფეებს, რომლებიც ქართულს სწავლობენ“...

„...როცა გადავათვალიერე თქვენი ლექსიკონები, დიდად ბედნიერად და მდიდრად ჩავთვალე თავი, რადგან ამერიდან საშუალება მექნება, თუ რომელიმე ქართული სიტყვა დამავიწყდება, თქვენი ლექსიკონის საშუალებით აღვადგინო. იგი დიდად დაეხმარება არა მარტო თქვენს მამულიშვილებს, რომ გაეცნონ ფრანგულ ლიტერატურასა და კულტურას, არამედ იმ ფრანგებსაც, რომლებსაც ქართული ენის შესწავლა სურთ“ — სწერს პროფესორ გვარჯალაძეს სორბონის უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრის გამგე, პროფესორი ჟორჟ დიუმეზილი.

პროფესორი კალისტრატე სალია პარიზიდან უთვლის: „...ურჩმეს მადლობას მოგახსენებთ წიგნებისათვის... თქვენი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო შრომების არსებობა უკვე ვიცოდი და ჩვენი რევიუს წლეულ ნომერში მოხსენიებული არიან პროფესორ ლაფონის მიერ. კარგი იქნებოდა, გამომცემლობა მოგვაწვდიდეს რამდენსამე ცალს — თხოულობენ ყოველი მხრიდან“.

დიახ, ძალზე დიდი მოთხოვნილებაა ისიდორე გვარჯალაძის სახელმძღვანელოებზე. და მანაც შეუსრულა საზღვარგარეთელ მეგობრებს დანაპირები — გამოსაცემად მოამზადა ქართულ-ფრანგული დიდი ლექსიკონი (50.000 სიტყვა), რომელიც უკვე იბეჭდება.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ისიდორე გვარჯალაძე ამჟამად მუშაობს უცხო ენათა ინსტიტუტში პროფესორ-კონსულტანტად. მის კალამს ეკუთვნის 74 მეცნიერული შრომა, მათ შორის უმთავრესად ლექსიკონები, მეთოდური სახელმძღვანელოებია საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის. ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონების შედგენაში მას დიდად ეხმარება მისი და — უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი თამარ გვარჯალაძე.

ახალ — 1971 წელს ხელხვავიანად შეხვდა ბატონი ისიდორე. ამ დღეებში გამოვიდა ჯუანშერ მჭედლიშვილთან თანამშრომლობით შედგენილი მისი „ინგლისურ-ქართული-რუსული ანდაზები“, ეთერ ლებანიძესთან თანამშრომლობით იბეჭდება ფრანგულ-ქართული ლექსიკონი.

ნადია მეგრელიშვილი

ქართული გაზეთების ფურცლებზე

როგორ გადარჩა ეროვნული განძი

ქამას წინათ გარდაიცვალა გენერალი შარლ დე გოლი. საბჭოთა ხალხმა სათანადოდ დააფასა ადამიანი, რომელიც თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა განმტკიცებინა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

მისმა გარდაცვალებამ ქართულ კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ერთი მომენტი გამახსენა...

როგორც ცნობილია, 1921 წლის თებერვალში თბილისის მუზეუმებისა და აგრეთვე გელათის, მარტვილის, ხობის მონასტრების სამუზეუმო კოლექციები მენშევიკურმა მთავრობამ წაიღო საფრანგეთში, ხოლო ამ ნივთების მეთვალყურედ დაინიშნა ცნობილი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი.

მენშევიკურმა მთავრობამ სამუზეუმო ნივთების შესანახი ერთი წლის თანხა გადაიხადა. ხოლო შემდეგი წლების თანხა აღარ გადაუხდია. 1935 წელს გაუქმდა საფრანგეთში საქართველოს რესპუბლიკის ლეგაცია და საფრანგეთის მთავრობის დადგენილებით 39 ყუთი საქართველოდან წაღებული ნივთები მარსელის ბანკიდან გადაიტანეს პარიზის ბანკში, სადაც მათი დაცვა ფრანგ მოხელეს ეკისრა.

ამ ამბავს ღრმად შეუწუხებია ჩვენი ცნობილი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი. 1935 წლის 9 აპრილს პარიზიდან საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ვუკოლ ბერიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში იგი წერს:

„...ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვასა და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო. ნებაც რომ შემრჩეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოვხუცდი, ფეხიც დამიშავდა, ძლივს დავდივარ, დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგა. თქვენ უწყით, თუ რა წილი მიდევს მე მათ შეკრებაში და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავშვიდდები, სანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება“.

წერილში შემდეგ დეტალურად მოთხრობილია დასაბუთების ტექსტი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა. ამავე წერილის დასასრულ ექვთიმე თაყაიშვილი ვუკოლ ბერიძეს სწერს:

„...გთხოვთ ეს წერილი გააცნოთ საქართველოს რესპუბლიკის ახლანდელ ხელისუფლებას და დაინტერესებულ მუზეუმებს და დაწესებულებათ და რამდენადაც შეიძლება დაჩქარებით წარმოადგინოთ თქვენი შუამდგომლობა... კიდევ ერთი ცნობა. შესანახი ფული მარტო ერთი წლისაა გადახდილი ორი ათს ხუთასი ფრანკი, დანარჩენს, რასაკვირველია, მოითხოვენ და უნდა გადავიხადოთ“.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, საფრანგეთში წაღებული ქართული განძის დაბრუნება საშობლოში მაშინ არ მოხერხდა.

გავიდა დრო. მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა...

1944 წლის დეკემბერში მოსკოვში ვიმუოფებოდი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე. იმ დღეებში (3 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე) მოსკოვს ეწვია საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი დე გოლი. დაუყოვნებლივ მოხსენებითი ბარათი წარვუდგინე ი. ბ. სტალინს.

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ი. ბ. სტალინს პირადი შეხვედრისას უთქვამს გენერალ დე გოლისათვის საფრანგეთში დაცულ საქართველოს განძეულობაზე. გენერალს პირობა მიუცია, რომ გაარკვევდა ამ საქმეს და განძს დააბრუნებდნენ.

1945 წლის 12 იანვარს მთავრობის განკარგულების თანახმად დაინიშნა სამუზეუმო განძეულობის მიმღები კომისია. პირადად მე დამევალა სამუზეუმო განძეულობის ზუსტი სიის შედგენა, სათანადო ექსპერტიზის მოწყობა და მიღების აქტის შედგენა.

1945 წლის 12 იანვარს თვითმფრინავით გავემგზავრეთ მარშრუტით — თეირანი-კაირო-მარსელი-დიუონი-პარიზი. გზად აღნიშნულ ქალაქებში გვიხდებოდა რამდენიმე დღით გაჩერება და პარიზში მხოლოდ 21 იანვარს ჩავედით. ორლის აეროდრომზე სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები დაგვხვდნენ. შეგვატყობინეს, რომ საქართველოს განძეულობა გენერალ დე გოლის სასწრაფო განკარგულებით ყოველგვარი გადასახადის შეუტანლად უკვე მიეღოთ საელჩოში და თავიანთ სეიფში შეენახათ, სამუზეუმო განძეულობის მიღება გაფორმებული იყო სათანადო აქტით.

22 იანვარს საელჩოს თანამშრომლებთან ერთად დავესწარით სორბონის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნას. ეს იყო ფრანგი ხალხის ნამდვილი ეროვნული დღესასწაული — ევროპის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებლის მეორედ დაბადება.

იმავე დღეს საღამოს ვინახულეთ ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის ბინაში ცხოვრობდა. იგი მოუთმენლად ელოდა ჩვენს ჩასვლას. ვერ ავიწერთ მის სიხარულს, მან მოიგონა თბილისის უნივერსიტეტი — მშობლიური უმაღლესი სასწავლებელი....

დაძაბული მუშაობის შემდეგ უკვე 15 თებერვლისათვის დავამთავრეთ კოლექციების აღწერა და სიის შეჯერება, თბილისიდან ჩამოტანილი ცალკეული ნივთები და დოკუმენტები უკლებლივ იყო შენახული. სიების შედგენისა და შეჯერების შემდეგ ყველა ნივთი საგანგებოდ შევფუთეთ და ყუთებში ჩავალაგეთ.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საფრანგეთის მთავრობამ საქართველოდან ჩატანილი განძის, როგორც უპატრონო ქონების, კონფისკაცია მოახდინა. ამ დღიდან ექვთიმე თაყაიშვილმა არ იცოდა ნივთების მდგომარეობა და როცა გაიგო, რომ ყველაფერი ხელუხლებელი აღმოჩნდა, მეტად გაეხარდა.

თუმცა 1945 წლის 15 თებერვლისათვის მთელი სამუშაო დავამთავრეთ, მაგრამ პარიზიდან სამშობლოში გამომგზავრება და ნივთების წამოღება არ მოხერხდა. რადგან ომი გრძელდებოდა და ფრენა სახიფათო იყო. 4 აპრილამდე ველოდით მოსკოვიდან თვითმფრინავებს.

ნივთების წამოსაღებად მოსკოვიდან მოფრინდა სამი თვითმფრინავი. ერთი მათგანი საბჭოთა საელჩოს საარქივო მასალებით დაიტვირთა და მოსკოვში გაიგზავნა. როდესაც გვაცნობეს, რომ აღნიშნული თვითმფრინავი მშვიდობით ჩაფრინდა დანიშნულებისამებრ, მაშინვე — ერთი დღის განმავლობაში დავტვირთეთ დანარჩენი ორი თვითმფრინავი განძეულობით, თან შეიარაღებული მცველები გვახლდნენ, და 5 აპრილს სამშობლოსკენ გამოვფრინდით. ორი დღე რომში შევჩერდით, ორი — კაიროში, კაიროდან თეირანში ჩავედით, ხოლო 12 აპრილს ჩვენი თვითმფრინავები თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ.

ექვთიმე თაყაიშვილი მეტად ღელავდა ამ ხანგრძლივი საჰაერო მოგზაურობის დროს. ეს იყო მისი პირველი მგზავრობა თვითმფრინავით. მან ჯერ კიდევ წამოსვლისას ჩამომართვა სიტყვა, რომ თუ გზაში ცუდი რამ მოუვიდოდა, არსად არ დავტოვებდით და ცოცხალსა თუ მკვდარს სამშობლოში დავაბრუნებდით. საბედნიეროდ, მან ეს ხანგრძლივი მოგზაურობა კარგად აიტანა, ხოლო სამშობლოს ხილვამ მეტი მხნეობა და სულიერი ძალა შესძინა.

აკადემიკოსი **შალვა ამირანაშვილი**
გაზეთი „კომუნისტი“

სინა

ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ

სინას მთა ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით, სინას ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. ამჟამად ეს ადგილი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ეკუთვნის, მაგრამ 1967 წელს იგი იარაღით დაიპყრეს ისრაელმა მოძალადეებმა.

იმის მიუხედავად, რომ სინას მთის ბუნება ერთობ მკაცრია — ზამთარი იქ პირდაპირ აუტანელია, — ქრისტიანი ხალხების მრავალი წარმომადგენელი იქაურ სავანეს აფარებდა თავს და არ უფრთხოდა არც ბუნებრივ-კლიმატური პირობების სისასტიკეს და არც არაბი ბედუინების ძალადობას. ამის ახსნა ადვილია: ბიბლიური გადმოცემით, სინას მთა წმინდა ადგილს წარმოადგენდა, იქ თითქოს ღმერთი გამოეცხადა მოსე წინასწარმეტყველს. ბუნებრივია, მოსეს მიერ ღვთის ხილვა მორწმუნე საზოგადოებრიობამ სასწაულად მიიჩნია, ხოლო სინა — წმინდა ადგილად.

პირველი ქრისტიანები სინას მთაზე უკვე მესამე საუკუნეში მივიდნენ. მალე მათ ალექსანდრიიდან წმინდა ეკატერინეს ნაწილები მიიტანეს და იმ მთაზე დაასვენეს, რომელსაც დღემდე ეკატერინეს მთა ეწოდება. შემდეგ იქ ბერები მომრავლდნენ და, გადმოცემით, კონსტანტინე დიდის დედამ —ელენემ ეგვიპტის პრეფექტს ააგებინა პატარა ტაძარი. იმის მიუხედავად, რომ თავდამსხმელებმა რამდენჯერმე დაარბიეს სინა და ამოწყვიტეს ბერ-მონაზონნი, იქაური კრებული მაინც იზრდებოდა.

თითო-ოროლა ქართველი სინას მთაზე უკვე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ, რასაკვირველია ეს ჯერჯერობით იმას არ ნიშნავს, რომ VI ან VII-VIII საუკუნეებში ქართველებს სინაზე თავიანთი კოლონია ჰქონდათ. მსჯელობა ქართველ მოღვაწეთა ჯგუფების სინას მთაზე დამკვიდრებისა და იქ ქართული კოლონიის დაარსების შესახებ, შეგვიძლია დავიწყოთ მხოლოდ IX საუკუნიდან, როდესაც არაბთა მუდმივი თავდასხმებით შეწუხებულმა ჩვენმა წინაპრებმა ნაწილობრივ დატოვეს პალესტინის სავანეები და შორეულ მხარეს, შედარებით საიმედო თავშესაფარს მიაშურეს, სინას მთაზე დამკვიდრდნენ და იქ განაგრძეს იძულებით შეწყვეტილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა.

სინას მთის ქართულ კოლონიას უშურველად ეხმარებოდნენ საქართველოს მეფეები თუ ცალკეული პირები (დავით აღმაშენებელმა იქ ტაძარიც კი ააშენა!), რადგან მათ კარგად ესმოდათ, რომ იქ ტაძრების მშენებლობას არა „მარტო ფშინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულებასაც უწყობდა ხელს“ (ივანე ჯავახიშვილი).

ქართველი მოღვაწენი XV საუკუნიდან აღარ ჩანან სინას მთაზე. მაჰმადიანთა მომძლავრებისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური დაუძლურების შედეგად სამშობლოდან დახმარებამ იკლო, ქართული კოლონია დასუსტდა; ახალი მწიგნობრული კერების დაწინაურების შედეგად მისი მნიშვნელობა დაეცა. ამან გამოიწვია ქართული სათვისტომოს გადაშენება. ამის მიუხედავად, თითო-ოროლა ქართველ მოღვაწეს სინაზე შემდგომშიც ვხედავთ. მაგალითად, XVI საუკუნის დამდეგს „ბრავალითა საკოსტითა“ მივიდა იქ ათაბაგთა სახლის წარგზავნილი ამბროსი, 1747 წელს — მროველი მღვდელმთავარი ქრისტეფორე თუმანიშვილი, იმავე საუკუნის ოთხმოციან წლებში — ცნობილი მწერალი და მოგზაური იონა გედევანიშვილი და სხვანი.

ქართული მწერლობის მძლავრ კერას სინას მთა ძირითადად X საუკუნეში წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდში გაიშალა იქ მრავალსხრივი ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც არსებითად პალესტინის ქართული კულტურულ-მწიგნობრული ტრადიციების გაგრძელება იყო. სინას მთაზე მრავალად მოღვაწეობდნენ ორიგინალური შემოქმედნი (იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე...), გაწაფული კალიგრაფები (თევდორე წყუდელელი, იოანე-ზოსიმე, კვირიკე სოხასტრელი, ზეზრა ქობულეანის ძე), ხელნაწერთა დამზადების ინიციატორები-მომგებლები (მიქაელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, მიქაელ კათაძორნელი, კვირიკე მიძნაძორელი...). ძირითადად მათ შექმნეს ის წიგნსაცავი, რომელიც დღესაც გვაოცებს სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. სინას მთის ქართულ სიძველეთა შემსწავლელებმა, — ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერებმა ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო ბარმა, ივანე ჯავახიშვილმა და ცნობილმა ბელგიელმა ქართველოლოგმა ჟერარ გარიტმა, — გააცნეს და აღწერეს სინას ქართული კოლონიის უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი და ნათლად წარმოაჩინეს სინელ ქართველთა ლიტერატურული ინტერესები და მათი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე. ამ კოლექციაში შენახულია მრავალი ორიგინალური ძეგლი (ფილიპეს, იოანე მინჩხის, იოანე-ზოსიმეს, იოანე ბოლნელისა და სხვათა თხზულებანი), სასულიერო-საეკლესიო ხასიათის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ასტრონომიული, ასკეტური...) კრებული. ამ კოლექციის გაცნობა უცილობელს ხდის, რომ სინას მთის სავანე ქართული სულიერი კულტურის ჯეშმარიტად დიდებული კერა იყო.

სინას მთის ქართველ მოღვაწეთა მაღალ წიგნიერ კულტურაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ X საუკუნეში მათ ჰქონდათ არა მარტო მდიდარი ბიბლიოთეკა, არამედ სპეციალური სამკითხველო ოთახი და გულდასმით შედგენილი კატალოგიც. რასაკვირველია, სინას მთის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით არ მდიდრდებოდა; მას ემატებოდა წიგნები პალესტინის ქართული სავანეებიდან (პალავრიდან, გოლგოთიდან, გეთსიმანიიდან, კაპათიდან, ჯვრიდან, განსაკუთრებით — საბას ლავრიდან. სინას მთის ქართული ხელნაწერების კოლექციიდან ზოგი ამჟამად იქ არის, ზოგი კი ინახება თბილისში, ლენინგრადში, გრაცში, დეტროიტში, ბალტიმორაში...


სინას მთის ქართველ მოღვაწეებს კავშირურთიერთობა ჰქონდათ ქრისტიანულ-არაბულ სამყაროსთან. ქართულ-არაბულ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობას თვალნათლივ ადასტურებს რამდენიმე ფაქტი, სახელდობრ, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შეუნახავს კვალი არაბული დამწერლობისა. ჩანს, არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს როგორც არაბული ენა, ისე არაბული დამწერლობაც.

ქართველ მოღვაწეებს განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლებთან, სხვაენოვან ქრისტიანულ ლიტერატურასთან, რასაც თვალნათლივ მოწმობს თარგმანების სიმრავლე. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ ქართულ ხელნაწერებს აქვთ ბერძნული პაგინაცია, ხოლო ბერძნულს — ქართული.

სინას მთის ქართული კოლონია მუშაობას განაგრძობდა XI საუკუნეშიც. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი და რამდენიმე ხელნაწერი ამ ხანიდან. მართალია, თავისი ძალითა და მასშტაბით ეს ხანა წინა საუკუნეს ვერ შეედრება, მაგრამ გარკვეულ ინტერესს მაინც იწვევს.

პროფესორი
ლევან მენაბდე

ვამძიძროთ ეროვნული საგანძური



სა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის შექმნის შესახებ. ეს მოვლენა ფრიად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. სახელმწიფო არქივში დაცული იქნება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ამსახველი დოკუმენტური მასალა, რომელიც ამჟამად რესპუბლიკისა და მის გარეთ არსებულ მუზეუმებში, არქივსაცავებში, ბიბლიოთეკებსა და კერძო ოჯახებშია გაბნეული და ხშირად მკვლევართათვის ხელმიუწვდომელია.

ქართული კულტურის ამ ახალი კერის გახსნამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებაში, შემოქმედებით ორგანიზაციებში. არქივმა უკვე მიიღო თანამედროვე გამოჩენილ მოღვაწეთა პირველი ფონდები.

ცხადია, ამ ეროვნულ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. მათ შეუძლიათ ბევრი საინტერესო მასალით გაამდიდრონ ჩვენი ეროვნული საგანძური. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ძვირფასი მასალა უკვე დაბრუნდა საქართველოში.

ქართველი საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა პარიზში მცხოვრები ჯაბადარების კეთილშობილ ნაბიჯს — დედასამშობლოსათვის დაებრუნებინათ კომპოზიტორ ირაკლი ჯაბადარის პირადი არქივი და ნაწარმოებთა დედნები. საქართველოში დაბრუნდა ავგუსტე ვერეულის წერილები მეუღლესა და შვილისადმი. უნიშნოა მადლიერების გრძნობა გამოეწვინა მხატვრის, აწ განსვენებული ალექსანდრე შარვაშიძის მიმართ, რომელმაც საქართველოში გადმოგზავნა თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ქართველი ხალხი დიდი ინტერესით შეხვდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გამართულ მის პერსონალურ გამოფენას.

ვინ არ ააღელვა ინგლისელი მეცნიერის, საქართველოს დიდი მეგობრის პროფესორ ალენის გულისშობილებამ, რომელმაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა პირადი საკუთრება— მე-18 საუკუნის ქართული ხელოვნების ნიმუშები.

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველთა დამსახურებული სიმპათიები გამოიწვია საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ბატონ იოსებ გოგოლიშვილის მიერ რედაქციისადმი ქართველ მოღვაწეთა საინტერესო სურათების დედნების შემოწირვამ და სხვა.

„სამშობლოს“ მკითხველები გაეცნენ აგრეთვე ინგლისელი პროფესორის, ქართველოლოგ დევიდ ლანგის საუბარმა უურნალისტ ვასილ მჭედლიშვილთან — პრინცტონის მუზეუმში ნახმარად ინახება ქართული მასალები, მრავალი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ, ინგლისელებს, არა გვჭირდება და მზადა ვარ ეს საუთრი გავარკვიო და აღნიშნული განძი საქართველოს გადმოვცეთო.

ქართველი ხალხი სიამოვნებით და მადლიერებით მიიღებს როგორც ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელ მეგობრების, ისე ჩვენი თანამემამულეების პირად ფონდებს. ფოტოგრაფებს, წიგნებს, სიგელ-გუჯრებსა და სხვა მასალებს. ჩვენი მათდამი მეტად მოკრძალებული თხოვნაა მოგვწერონ, შეატყობინონ და შეუთანხმებონ კვალობაზე გადმოვგზავნონ მათ მიერ შეგროვებული ან მათ ხელში არსებული საარქივო და სხვა სახის მასალები, რომლებიც ასახავენ ქართული კულტურის ისტორიას და ამ დარგში მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებას.

შეთანხმებულობა ღირსეულად დააფასებს და უკვდავყოფს უველა მათ, ვინც ისტორიას შეამოუნახავს ეროვნული კულტურის სიდიადის ამსახველ მასალებს.

ვახტანგ ბურჯენიძე,
საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.





სურათებზე: სინას მთის მონასტერი. ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი სინას მთაზე 1902 წელს.

რეკორდი ბაკურიანის ტრამპლინიდან

ბაკურიანის 90 მეტრიან ტრამპლინს, რომელიც შარშან გაიხსნა, კარგი ტრადიცია დაებედა. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე იგი ორ დიდ ასპარეზობას მასპინძლობდა. ჯერ იყო და 10 იანვარს „მფრინავი მოთხილამურეების“ კიდევ მეორედ ამ ტრამპლინზე შეეცილნენ ერთმანეთს საკავშირო თასს. მასში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 15 გუნდის 72 სპორტსმენი მონაწილეობდა. ბაკურიანელმა იხილა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ნაპალკოვის, საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონების ტერენტიევის, ზუბარევის, კოზა წაქაძისა და სხვათა ოსტატობა.

ამ დღეს ჩვენს თანამემამულეს ბაკურიანელ კოზა წაქაძეს ბადალი არ ყავდა. პირველი ნახტომის სიგრძე — 107,5, ხოლო მეორესი — 102 მეტრი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კოზას საკავშირო თასი დაესაკუთრებინა.

კიდევ უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია ასპარეზობამ, რომელიც მომდევნო კვირას, 17 იანვარს გაიმართა. ახალი ხალხმრავლობა ბაკურიანს არ ახსოვს, ამინდიც ნანატრი იდგა და სანახაობაც უჩვეულო იყო.

ამ დღეს ბაკურიანში საფუძველი ჩაეყარა პირველ საერთაშორისო ასპარეზობას ტრამპლინიდან ხტომაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს 44 საუკეთესო სპორტსმენი.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ სტარტი აიღეს. შედეგები თავიდანვე საუკეთესო იყო, მაგრამ პერმელი სტუდენტის, 18 წლის სერგი ზონტოვის შედეგი ყველასათვის მიუღწეველი აღმოჩნდა. პირველი ცდისას მისი შედეგი იყო 104 მეტრი, მეორისას — 115,5 მეტრი. ეს ნახტომი საბჭოთა ტრამპლინების ახალი რეკორდია და მთელი 8 მეტრით აღემატება კოზა წაქაძის შარშანდელ რეკორდს.

ამრიგად, სერგი ზონტოვმა 244,5 ქულით პირველი ადგილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი მოიპოვა. მეორე ადგილი წილად ხვდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენს, 17 წლის კალინინს (241,5 ქულა), მესამე — ოლიმპიურ ჩემპიონს ჩეხ ირჟი რაშკას.

ჩვენი თანამემამულე კოზა წაქაძე ამჯერად წარუმატებლად გამოვიდა და მეათე ადგილს დასჯერდა.

პირველი საერთაშორისო ასპარეზობა ბაკურიანში წარმატებით გაიმართა. ეს განაპირობა როგორც შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ, ისე მაღალმთიანი ქართული კურორტის ზღაპრულმა სილამაზემ და ახლად აგებული ტრამპლინის საუკეთესო თვისებებმა. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტრამპლინიდან ხტომის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ფუქსმა (შვეიცარია) ყველა სტუმრის აზრი გამოხატა, როცა ბაკურიანის ტრამპლინს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უწოდა. კოხტავორიდან ხელისგულზე გადაშლილი პანორამის ხილვის შემდეგ მან აღტაცება ვერ დამალა და თქვა: მე ვიქნები ერთ-ერთი პირველი მომხრე, რომ საქართველოში საერთაშორისო ტურნირი ყოველ წელიწადს გაიმართოსო.



სურათებზე: მარცხნივ — ბაერშია კოზა წაქაძე. ზევით — სერგი ზონტოვი.

თბილისის პიკი პამირზე

1957 წელს პამირზე, გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის რაიონში საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციამ, რომელსაც ოთარ გიგინეიშვილი მეთაურობდა, განახორციელა დარვაზის ჭედის ტრავერსი. მაშინ გუნდი ოქროს მედლებით დაჯილდოეს.

მყინვარის რაიონში ექსპედიციის მონაწილეებმა დაინახეს უსახელო მწვერვალი, რომელზეც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაედგა. ქართველმა ალპინისტებმა მას თბილისის პიკი უწოდეს, მაგრამ რამდენადაც მწვერვალისათვის სახელის დარქმევის უფლება მხოლოდ პირველ ამსვლელებს აქვთ, ეს სახელი პირობით დარჩა.

შარშან ზაფხულში, ქართველ ალპინისტთა შემდეგ, გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის რაიონში პირველად მივიდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინისტთა ჯგუფი. ისინი ავიდნენ 5.933 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე და პირველამსვლელთა უფლებით დაადასტურეს ქართველ ალპინისტთა მიერ დარქმეული სახელწოდება — მწვერვალს თბილისის პიკი უწოდეს.

მწვერვალზე ასვლა ლენინგრადელებმა მიუძღვნეს ქართველი ხალხის მომავალ დღესასწაულს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.



● ● სურათზე: თბილისის პიკი

სპორტი

ბოლომდე ვუერთგულე...



ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის, საქართველოში საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებლის, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატის, საერთაშორისო არბიტრის, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის, საქართველოს დამსახურებული ექიმის, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ნერვული განყოფილების გამგის, თბილისის მთავარი ნევროპათოლოგის გია ნადარეიშვილის საჭადრაკო ეტიუდები ორჯერ გამოიცა ქართულ ენაზე. ახლახან კი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ რუსულად გამოუშვა მისი „რჩეული ეტიუდები“. წიგნს ახლავს ანოტაცია ინგლისურ ენაზე, ხოლო წინასიტყვაობაში მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი წერს: „მინდა მოწიწებით მოვიხადო ქუდი გია ნადარეიშვილის წინაშე. მისი საუკეთესო ეტიუდები, ისეთები, როგორიც არის № 7 და № 71, უეჭველია სამუდამოდ შევა საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში“.



როგორც ვხედავთ, **გია ნადარეიშვილი ძალზე საინტერესო პიროვნებაა. „სამშობლოს“ მკითხველს ალბათ დაინტერესებს მისი ინტერვიუ ჩვენს კორესპონდენტთან.**

● ბატონო გია, რა გიზიდავთ საჭადრაკო კომპოზიციაში?

— თუ პასუხს ერთი სიტყვით გამოვხატავთ — სილამაზე. მაგრამ თუ ჩემი შემოქმედების წარსულს გადავხედავთ, მომიხდება ერთი დაუვიწყარი ეპიზოდის გახსენება: 1935 წელს ქალაქ ცხაკაიაში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი და ვსწავლობდი, სარაიონთაშორისო ტურნირი გაიმართა. ტურნირზე ჩამოვიდა იმ დროისათვის კარგად ცნობილი ქართველი მოჭადრაკე სერგო კანკავა. მან პირველად მიჩვენა თანამედროვე საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებლის ალექსი ტროიცკის ეტიუდი. მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. მაგრამ ახლაც ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ, რა დიდი იყო ჩემზე ტროიცკის ეტიუდის შთაბეჭდილება და ზემოქმედება. საჭადრაკო ეტიუდი სწორედ იმ სამახსოვრო დღიდან შევიყვარე და ბოლომდე ვუერთგულე.

● რას აძლევს ეტიუდი მოჭადრაკეს?

— ეტიუდი მაღლა სწევს მოჭადრაკის კულტურას, გასაქანს აძლევს ანალიზურ ნიჭს, შემოქმედებით ფანტაზიას.

● თქვენ ბრძანეთ, ეტიუდს ბოლომდე ვუერთგულებო; ხომ არ ჩამოთვლიდით თქვენი შემოქმედების მთავარ ეტაპებს, ყველაზე საგულისხმო მიღწევებს?

— ნუ შევუდგებით შემოქმედებითი ეტაპების ჩამოთვლას. მოგახსენებთ, რომ განსაკუთრებული სიხარული შარშანდელმა 1970 წელმა მომიტანა. შარშან საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებზე 6 საპრიზო ადგილი დავისაკუთრე, მათ შორის ოთხი პირველი: იტალიაში, შვეიცარიაში, აგრეთვე საკავშირო პირველობებზე. სწორედ შარშან გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ ჩემი საუკეთესო ეტიუდების კრებული, რომელმაც საკმაო გამოხმაურება პოვა როგორც სპეციალისტებში, ისე ეტიუდის მოყვარულებში.

● ჟურნალისტები თეთრხალათიან კომპოზიტორს მიწოდებენ, როგორ მეგუება ცნობილი ექიმის პროფესია ცნობილი ეტიუდისტის მოღვაწეობას?

— მედიცინა, რა თქმა უნდა, ჩემი მთავარი საზრუნავია. მაგრამ ეტიუდმა იმდენად დიდი ადგილი დაიჭირა ჩემს ცხოვრებაში, რომ ივი მეორე პროფესიად გადამექცა. როგორ ეგუებიან ისინი ერთმანეთს? როცა საავადმყოფოდან დაჭანცული მოვდივარ შინ, დასვენებას ეტიუდებში ვეძიებ.

● ვინ არიან თქვენი მიმდევრები საქართველოში?

— უპირველეს ყოვლისა, თვალსაჩინოა ველიმირ კალანდაძისა და ვაჟა ნეიძის წარმატებები. მათ შემოქმედებას უკვე კარგად იცნობენ ჩვენში და საზღვარგარეთაც. პრობლემისტებმა იოსებ კრიხელმა, რევაზ თავარიანმა და ოთარ ტაბიძემ საინტერესო ეტიუდების სერიები შექმნეს. ახლახანს გამოჩნდა ახალგაზრდა, იმედის მომცემი ეტიუდისტი დავით გურგენიძე. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი საქართველოს საეტიუდო კომპოზიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს უწოდებს, ხოლო საბჭოთა მოჭადრაკეების ყოველკვირეული ჟურნალი „64“ ახლახან აღნიშნავდა საეტიუდო ხელოვნების განსაკუთრებულ პოპულარობას საქართველოში.

ტრაღიციული მემორიალი

ვახტანგ ქარსელაძის სახელი კარგად არის ცნობილი საჭადრაკო სამყაროში. მან ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოიყვანა დიდ სარბიელზე. ამაგდარი კაცის ღვაწლის დასაფასებლად 1968 წლიდან წელიწადში ერთხელ იმართება ტურნირი, რომელსაც ქარსელაძის მემორიალი ეწოდება.


წლეულს ამ საინტერესო საჭადრაკო პაექრობას გორი მასპინძლობს. მემორიალში მონაწილეობენ დიდოსტატები გურგენიძე, შტეინი, პლატონოვი, ფურმანი, გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები ჯინჯიხაშვილი, სავონი, ოსტატები ბოკუჩავა, პოდგაეცი, უბილავა, ჩეჩელიანი და სხვები, აგრეთვე ერთადერთი ქალიშვილი — საერთაშორისო ოსტატი ნანა ალექსანდრია.

უკვე გათამაშდა 9 ტური. ლიდერობს თბილისელი დიდოსტატი ედუარდ გუფელდი, რომელსაც 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

მემორიალი იანვრის ბოლომდე გასტანს.

ეტიუდი

გია ნადარეიშვილი.



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. ეg1 — — g5!!

თეთრები ამ სვლით იგებენ მათთვის მეტად საჭირო ტემპს. განვიხილოთ სხვა შესაძლებლობანი I — თუ 1. ეg6?, მაშინ 1... მფh2 2. მფb6 h3 3. მფc5 მფh1 4. მფ d4 h2 5. ეg3 g5 6. მფe3 g4 და ყაიმია. II — 1. ე:g7? მფh2 2. მფb6 h3 3. მფc5 მფh1 4. მფd4 h2 ყაიმით. III — 1. მფb6? g5! 2. მფc5 მფh2 3. ეa1 g4 4. მფd4 g3 5. მფe3 g2 6. მფf2 h3 7. ეd1 g1ლ+ 8. ე:g1 — პატი.

1.	g7 — g6
2. მფa7 — b6	მფh3 — h2
3. მფb6 — c5	h4 — h3
4. მფc5 — d4	მფh2 — h1
5. მფd4 — e3	h3 — h2
6. ეg5 — g3!	. . . . .

აი სად გამომჟღავნდა პირველი სვლის მნიშვნელობა

6.	g6 — g5
7. მფe3 — f2	g5 — g4
8. ეg3 — a3	g4 — g3+
9. მფf2:g3	და იგებენ.

გვეწვიენით, პრემიერებით

ახალგაზრდა პიანისტის ლალი მიქავას დებიუტი 1964 წელს გაიმართა კონსერვატორიის მცირე დარბაზში. იგი მაშინ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი იყო. რთული და საინტერესო პროგრამა შეურჩია დებიუტანტს: მოცარტი, ბახი, ჩაიკოვსკი, სკრიაბინი. მსმენელებმა მოიწონეს ახალგაზრდა პიანისტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. დაკვრის თავისებური მანერა. შემდეგ ლალიმ რამდენიმე ცალფა კონცერტი გამართა რესპუბლიკის ქალაქებში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში. ამ გასტროლების დროს რადიოსადგურმა „იუნოსტმა“ ქართველ პიანისტს მიუძღვნა გადაცემა, რომელიც „იუნოსტის“ ოქროს ფონდში დარჩა.



ლალი მიქავას განსაკუთრებით იტაცებს რომანტიკოს კომპოზიტორთა მუსიკა. მისი არტისტული ბუნებისათვის ყველაზე ახლობელია შოპენი, შუმანი. ეს მან კიდევ ერთხელ დაადასტურა კონცერტით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამართა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

პროგრამაში იყო შუმან-ლისტის „მიძღვნა“, შუმანის ფანტაზია, შოპენის პოლონეზი-ფანტაზია პიანისტმა მსმენელები მოხიბლა მუსიკალურ ნაწარმოებში ღრმად წვდომის უნარით, სულიერი სიფაქიზითა და პოეტურობით.

ვახტანგ ჭლენტი

სურათზე: ლალი მიქავა.

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

სახელოვანი მამულიშვილი

ახლა 75 წლის იქნებოდა ქართული მედიცინის მეცნიერული ისტორიის ფუძემდებელი ლადო კოტეტიშვილი, ნაადრევ და მოულოდნელ სიკვდილს 1945 წელს რომ არ შეეწყვიტა მისი დაუცხრომელი, ესოდენ მნიშვნელოვანი მოღვაწეობა.

კოტეტიშვილი მრავალმხრივ განათლებული და ფრიად განსწავლული პიროვნება იყო.

ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, პრაქტიკულ საექიმო მოღვაწეობასთან ერთად, მუშაობდა ქართული ხალხური მედიცინის შესწავლაზე.

გამოსცა XIII საუკუნის სახელგანთქმული საექიმო წერილობითი ძეგლი „წიგნი საქიმოი“ და XIV საუკუნის შესანიშნავი საექიმო ძეგლი — დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“, რომელთაც დაურთო ფრიად მნიშვნელოვანი წინასიტყვაობა და ვრცელი გამოკვლევა.

ლენინგრადში მიაკვლია „უსწორო კარაბადინის“ დედანს და წარუმძღვარა სათანადო წინასიტყვაობა და შესავალი წერილი.

აქვე გაამზადა დასაბეჭდად კიდევ ერთი გამოკვლევა — „მედიცინა ძველ საქართველოში XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში“, რომელშიც თავმოყრილია „გარდამავალი ხანის“ უძვირფასესი მასალები.

ლადო კოტეტიშვილმა პირველმა საქართველოს სინამდვილეში სცადა მსოფლიო მედიცინის ისტორიის მანამდე არსებული პერიოდიზაციის კრიტიკული ანალიზი და ერთხელ კიდევ შეაჩერა საზოგადოების ყურადღება ქართული მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე.

მას ეკუთვნის გამოუქვეყნებელი მოთხრობები, რომელთაც მხატვრულ ღირსებებთან ერთად, ისტორიული მნიშვნელობაც აქვთ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მან შექმნა რამდენიმე ქანდაკება, რომელთა შორის „ვაჟა-ფშაველას“ ქართველ მხატვართა ერთ-ერთ გამოფენაზე დიდი მოწონება და ჯილდოც დაუმსახურებია. იგი შესანიშნავად ხატავდა.

ლადო კოტეტიშვილის მემკვიდრეობაზე აღიზარდა მედიცინის ისტორიის მკვლევართა მთელი თაობა. ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი პატივისცემით აღნიშნა ამაგდარი მკვლევარისა და სახელოვანი მამულიშვილის დაბადების 75 წლისთავი.

ახალი ლექსები

სიყვდილი ანთიერზე ივერიელისა

თიმურაზ ჯანგულაშვილი

პონტოს ტალღები ვარსკვლავების სანთლებს
ანთებენ,
ფართოდ გახსნილა მოგანგაშე ღამის ცხრა კარი.
მუნტენიიდან განდევნილი მიდის ანთიმი,
მხარდამხარ მისდევს არსაკიძის ძველი
ზღაპარი.
ის, ბავშვობაში სამშობლოდან გატაცებული,
თურქთა ბაზარში გაყიდული ივერიელი,
ზარდაცემული, ანთემას გადაცემული
მიდის.
ზღვის ღელვას მოჰგავს მისი სუნთქვა ძლიერი.
ეს მან იმშობლა რუმინეთი და მისი ხალხის
სულის ტაძარი აღაშენა გუმბათმაღალი.
ოხრავს მოხუცი —
ბორგვა თუა ზღვის შმაგი ტალღის,
ამოდის მთვარე —
შუქი თუა მისი ჭალარის...
მიდის მოხუცი, განდევნილი.
— შურო, ავსულო,
რა ძალა შეგწევს, რომ მუდამ ხარ, რომ
ყველგანა ხარ!
ვერსად ვერ ნახე საწყაული შენი ავსილი,
ნეტავ არცოდეს შემძლებოდა შენი დანახვა.
ასჯერ რომ მოგკლან, შენ ათასჯერ აღდგები
მკვდრეთით,
დაუთრგუნავო,
უსისხლხორცოვ,
გველის თვალებით,
გაალმასებულ, მუდამ სისხლით სველი
ბრჭყალებით
ჩასაფრებიხარ ყოველივე ლამაზს და კეთილს...
მიდის დევნილი.
სამშობლოსაგან მას შავი ზღვა ჰყოფს,
შავი ზღვა ჰყოფს თუ შავი ბედი...
მიდის დევნილი.
კედელივით შავ ღამეს ატყობს,
ვით ქვიშნარს ტალღა, ზღვის ნაპირზე
გადმოდენილი.
მკვდრული დუმილი, გზაზე მწოლი როგორც
კამეჩი,
აბღავლდა უცებ,
შეკრთა ღამე გაკვირვებული, —
ადევნებული შურის შხამმა შუაღამეში
იშიშვლა დანა, კაცის ხელში აკივლებული.
და ბულგარეთში მიმავალი ივერიელის
გვამი წყალს მიაქვს,
შავი ზღვისკენ მიაქვს მდინარეს.
.... ალისფრად გაკრთა ზეცის შავი დასალიერი,
მზე თუ ატირებს აღმოხდომას, პირმოცინარე...
... იგი მზე ახლა საქართველოს ცაზე ბრიალებს
იმ ცის ქვეშ მისგან, მისი სახელით
მისულ მიხაი უნგროვლახელის
გამართულ სტამბას, პირველ სტამბას გაჰქვს
გრიალი.
შრიალი ფურცლის — უტკბილესი ზუზუნი
ფუტკრის —
მის ხალხს ატურებს, არ დაულევს სიტკბოს
საოცარს
და საქართველო
ცალ ხელში ხმლით
და ცალში გუთნით
კითხულობს ნაბეჭდ „ვეფხისტყაოსანს“.

ბუქარესტში ცხოვრობს ზაირა სამხარაძე

შეუდგა ყველას და ყველაფრის ჩამოთვლას,
ბოლოს თქვა კირიცამ:
—აი, რა,
როგორც კი გაიგებს ქართველთა ჩამოსვლას,
მყისვე იქ გაჩნდება ზაირა.
(ზაირა სამხარაძე —
ქართველი ქალი —
ყოფილა რუმინელთა
ლამაზი რძალი).
ჰოდა უკვე იცის ჩამოსვლა თქვენი
და თქვენსკენ მოჰქრის რბენით თუ ფრენით.
უცებ ზაირაც
შემოვრგმანდა კაკბის ნაირად
შემოჰყვა ვაჟკაცს ფართე მხრებიანს,
გარუმინელებულა ზაირა
და ქმარი გაუქართველებია.
ქმარიც ქართულად აგვეშაირა
(ჩუმად ჩაგვიკრა თვალი ზაირამ).
„საქართველოში ვეღარ ჩაველი,
იგი ხომ მუდამ ჩემს გულში არის,
ორიგინალიდან ვაჟა-ფშაველას
ვთარგმნი“. —
იმერულ აქცენტით ამბობს
ზაირას ქმარი.
ისეთი ლამაზი ქართული მოჩარხა,
რუმინეთში ყოფნას
ვეღარ ვიჯერებდი.
ბუქარესტში ცხოვრობს ზაირას ოჯახი —
პაწია იმერეთი.

ახალი ლექსები

თებერვალი

ქართული კალენდარი

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი დადგაო.

ამბობს ქართული ხალხური ლექსი.

მართლაც, თებერვლიდან უკვე იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა საქართველოში. იკვირტებიან ხეები და ბუჩქები, მხიარულად ჩიკჩიკებენ ჩიტუნები, ჰაერში დასრიალებენ, სიხარულით ეგებებიან მზის ამოსვლას. ძნელია მოიძებნოს სხვა ქვეყანა, თებერვალში ასე რომ ყვაოდეს ყვავილები. ამიტომ საქართველოს ბედნიერ დღეს — 25 თებერვალს ჩვენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ყვავილები — ჩვენი ბავშვები დიდი გატაცებით მღერიან პეტრე გრუზინსკის ლექსზე დაწერილ კომპოზიტორ მერი დავითაშვილის სიმღერას — „ყველგან მზეა“:

„ყვავილები ცვივა ციდან
როგორც თოვლის ფანტელი,
თებერვალში ყვავილები
სად გინახავთ ამდენი?
მზეა შინ და მზეა გარეთ
და გულშიაც მზე არის.
დღეს ახალი საქართველოს
საზეიმო დღე არის“...

თებერვალში ბევრია ისეთი დღე, რომელსაც განსაკუთრებული პატივით აღნიშნავს ქართველი ხალხი. საქართველოს სახალხო მხატვრის დიმიტრი თავაძის მშვენიერი შემოქმედება დიდი მოწონებით სარგებლობს. 6 თებერვალს ამ შესანიშნავ ხელოვანს დაბადების 60 წლისთავი უსრულდება. ამავე დღეს დაბადების 50 წელს აღნიშნავს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.

10 თებერვალი მნიშვნელოვან მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამ დღეს, 30 წლის წინათ, დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი მსოფლიო სახელის მეცნიერია. მისი ნაშრომები შესულია მათემატიკოსთა და მექანიკოსთა ოქროს ფონდში. 16 თებერვალს ქართველი ხალხი დიდი მეცნიერის 80 წლისთავს იზეიმებს.

„საჯარო“ — ასე უწოდებენ ჩვენში სიყვარულით კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას. მისი გახსნა ემთხვევა საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეს — 25 თებერვალს. იგი არსებობის 40 წელიწადს ითვლის.

დაგვიბეჭდეთ, მთგელია

კუკური ვასილის ძე ჯაფარაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ქალაქ ხაშურში, ეძებენ დედა — მარიამ, ძმები — ამბერკი, მარლენ და თენგიზ ჯაფარაშვილები, მცხოვრებნი ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩა № 48.

ვალიკო იოსების ძე ვორჩაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ახმეტის რაიონის (ყოფილი თელავის) სოფელ ზემო ხოდაშენში, ეძებენ დედა — ბაბე, მეუღლე — სონა, შვილები — დოლარესი, ლეილა, ომარი, და—ანიკო მორჩილაძეები, მცხოვრებნი თბილისში, ავჭალის გზატკეცილი № 77.

პავლე გარიელის ძე კვალიაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს ქალაქ თბილისში, ეძებენ დედა— მარო, მეუღლე— ქეთევან, შვილები — უშანგი და ანზორ კვალიაშვილები, მცხოვრებნი თბილისში, ანაგის ქუჩა № 4.

ვახტანგ ვარლამის ძე ჭიჭინაძეს,

დაბადებულს 1917 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თლუღში, ეძებენ მეუღლე — მარიამ ჭიჭინაძე, შვილი — ლამარა, შვილიშვილები — მაია და ვახტანგ დონაძეები, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, IV კვარტალი, III კორპუსი, IV სადარბაზო, ბინა № 59.

ამბაკო ნიკოლოზის ძე ბაკურაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ონის რაიონის სოფელ პიპილეთში, ეძებენ დები— ნინო, თამარ, ძმები — ვალიკო, ესტატე, ანთიმოზ ბაკურაძეები, მცხოვრებნი თბილისში, ძნელაძის ქუჩა № 14.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488